ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ლევან კაჭარავას მკვლელობა ნიკო კვარაცხელიას მკვლელობას დაუკავშირეს



გვ.5

ორშაბათი, 27 ივნისი, 2022 №124 (8902) ფასი: 80 თეთრი

# „ივანიშვილისთვის სანქციებს ამერიკაც მოითხოვს“



გვ.2

კახა ქემოკლიძე: „ქართული ოცნება“ მატყუარა თაღლითების ბრბოს დაემსგავსა“



## „ივანიშვილი ოპოზიციას გააკოტრებს, მუხტს დააგდებს და სამთავრობო ცვლილებებს განახორციელებს“



გვ.2

ვახტანგ ძაბირაძე: „დროებითი მთავრობის იდეა ცოტა გულუბრყვილოა, შეიძლება კრება დარჩეს მხიარული!



გვ.4

## „ჩხარტიშვილი, ხაზარაძე, ჯაფარიძეც ოლიგარქები არიან“

მირიან მირიანაშვილი: „არ მესმის, რა საჭიროა ენერგიის ხარჯვა ისეთ არარეალურ მოთხოვნაზე, როგორიცაა მთავრობის გადაყენება და თანხმობის მთავრობის შექმნა“

## „შეცდომაა, აქციებში პოლიტიკოსების არ ჩართვა“

გვ.3



მამუკა გვაძაბია: „ივანიშვილი და მისი ფული რუსეთის არაფორმალურ კოლონიად გვაქცევს“



## თეა წულუკიანმა კახა კალაძეს ომი გამოუცხადა



გვ.3



## ალექსი პეტრიაშვილი: „ღარიბაშვილმა ბოდიში მოუხადოს ჩვენ ქართველ მეომრებს!“

გვ.4

1993230720223

5 ტვ პირველის ჟურნალისტ ნანუკა ქაჯაიას და ოპერატორს დოლიძეზე თავს დაესხნენ

4 ირაკლი ქადაგიშვილის შეფასებით, მოთხოვნა ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შესახებ არაკონსტიტუციურია

5 ელენე ხოშტარია არასამთავრობო ორგანიზაციებს მისი ოჯახის ანგარიშების შესწავლისკენ მოუწოდებს

6 უკრაინა ნატოზე დროებით უარს ამბობს

# „ივანიშვილისთვის სანქციებს ამერიკაც მოითხოვს“

## კახა ქემოკლიძე: „ქართული ოცნება“ მატყუარა თაღლითების ბრბოს დაემსგავსა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტიკური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.**



***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? საფრთხე დაემუქრა ჩვენს ევროპულ მომავალსო, ვისმენთ შეფასებებს. 6-თვიანი ვადა გვაქვს, არის მზაობა ხელისუფლებაში იმისთვის, რომ შეცვალონ ვითარება. რა მოლოდინები გაქვთ?***

– მოლოდინი არცთუ ისე ოპტიმისტური მაქვს, გამომდინარე იმ განცხადებებიდან, რომელსაც ჩვენ ვისმენთ. ამავდროულად, განცხადებებს რომ თავი დავანებოთ, მათი ქმედებიდან. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“, მისმა ე.წ. ლიდერებმა, მთლიანად ამოწურეს რესურსი, რომ ქვეყანა წაიყვანონ სწორი ევროპული ინტეგრაციისკენ. ჩემი აზრით, ეს ჩვენმა ევროპელმა პარტნიორებმა, პირდაპირ თუ ირიბად, დაადასტურეს. ერთი მხრივ, იმ ძალიან მძიმე რეზოლუციით, რომელიც მიღებულ იქნა, მეორე მხრივ, იმ 12 პუნქტით, რომელიც ჩაიდო წინაპირობებად, საქართველოს ხელისუფლების მისამართით. ეს არის სწორედ ის ემპირიული დადასტურება, რომ საქართველოს ხელისუფლებას, უბრალოდ, დღეის მოცემულობით, არ აქვს, ერთი მხრივ, ინტელექტუალური შესაძლებლობა და მეორე მხრივ, პოლიტიკური, რომ ქვეყანაში განახორციელონ ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი რეფორმები. ეს არის ის მოცემულობა, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს მივიღეთ.

***– პრემიერის განცხადებებს რომ ვუსმენთ, ოპტიმისტური განწყობები როგორ უნდა გვქონდეს.***

– პრემიერის პრობლემა, იცით, რაში მდგომარეობს? მის სიტყვას ფასი აქვს ნული! ერთ დღეს ერთს ამბობს, მეორე დღეს – მეორეს და მესამე დღეს მესამეს აკეთებს. სამწუხაროდ, ეს არა მარტო საქართველოს მოსახლეობამ იცის, არამედ გაიგო ყველამ ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც. ამიტომ ამ ადამიანებს, უბრალოდ, აღარც ეძახიან. სხვათა შორის, ამის ძალიან მკაფიო დადასტურება იყო ის ჩართვა, რომელიც გაკეთდა სალომე ზურაბიშვილთან. მაშინ როდესაც, საქართველოს კანონმდებლობით, კონსტიტუციით, იქ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი, დაუძახეს პრეზიდენტ ზურაბიშვილს. რატომ? იმიტომ, რომ პრემიერ ღარიბაშვილის სიტყვას ფასი აქვს ნული!

***– პრეზიდენტი ზურაბიშვილი ახსენეთ და მისი პოზიცია განსხვავდება ხელისუფლების პოზიციისგან. ექსპერტებისგან მოვისმინეთ შეფასებები, რომ მის გარშემო ახალი, მესამე ცენტრი ყალიბდებაო. რა პოზიცია აქვს ზურაბიშვილს და საით არის მიმართული მისი ქმედებები?***

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თითქმის მის ირგვლივ რაიმე ტიპის ცენტრი ყალიბდება. მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტ ზურაბიშვილს ძალიან კარგად ესმის ევროპული ინტეგრაციის ფასი. მიუხედავად იმისა, რომ არის საკითხები, რაშიც მას არ ვეთანხმები, მაგრამ ევროპული ინტეგრაციის კუთხით, ეს ადამიანი ნამდვილად სწორად პოზიციონირებს. როგორც მინიმუმ, სწორ განცხადებებს აკეთებს. ამ საქმეში სწორი განცხადებების კეთება კი არის ძალიან მნიშვნელოვანი. „ქართულმა ოცნებამ“ ამაშიც კი იმდენად ფუნდამენტური შეცდომები დაუშვა, რომ არავის მათ მიმართ ნდობა აღარ აქვს და ეს არის შემდგარი ფაქტი.

***– საკონსტიტუციო სასამართლოში ზურაბიშვილის წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო. ეს ყველაფერი დაემთხვა მის აქტიურობას. რა უნდა „ოცნებას“?***

– „ქართული ოცნება“ მიანიშნებს იმაზე, რომ თუ პრეზიდენტი ზურაბიშვილი კარგად არ მოიქცევა, მას შეიძლება პრობლემები შეექმნას.

***– იმპიჩმენტს მოუწყობენ?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება იმპიჩმენტამდეც მივიდეთ. ამაზე ჯერჯერობით ისინი არ საუბრობენ, თუმცა გამორიცხული არაფერია მათგან. მათი არც ერთი სიტყვა აღარ ინდობა. შესაბამისად, კარგია, რომ სალომე ზურაბიშვილი არ უშინდება ამ ძალიან სერიოზულ გამოწვევებს და სწორად პოზიციონირებს ევროპული ინტეგრაციის კუთხით.

***– ბატონო კახა, საუბარია, რომ დღეს ძალიან რთულ სიტუაციაშია ბიძინა ივანიშვილი, მას სჭირდება განტევების ვაცი. ვის გაწირავს?***

– ბატონი ივანიშვილი ყოველთვის იტოვებს ხოლმე სარეზერვო სვლებს რამდენიმე მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთ მიმართულებად, გონების სიღრმეში ის განიხილავს განტევების ვაცების პოვნას. თუმცა, როდის მოხდება ეს, ჯერჯერობით არავინ იცის. ჩემი დაკვირვებით, ივანიშვილი პოლიტიკური თანამდებობის პირებს ბოლომდე „გამოწურავს“ ხოლმე და შემდეგ ამ ადამიანებს ისე მოისვრის, რომ მათზე საერთოდ აღარც ფიქრობს და აღარც დარდობს. ერთადერთი, გახარიას შემთხვევაში არ გამოუვიდა ეს. ესეც იმიტომ, რომ ამის საშუალება თავად გახარიამ არ მისცა. სამწუხაროდ, დღეს არც ერთ მაღალ პოლიტიკური თანამდებობის პირს არ შერჩა საკმარისი გამბედაობა იმის, რომ მის ამ მიდგომას დაპირისპირებოდა. ფაქტიურად ერთადერთი აქაც იყო გახარია. დღეის მონაცემებით, კობახიძესაც და ღარიბაშვილსაც იმდენად დაზიანებული აქვთ რეპუტაცია, იმიჯი, პოლიტიკური წონა, რომ მათ დასაკარგი ბევრი არაფერი აქვთ. ამიტომ ისინი ბოლომდე შეეცდებიან ამ როლის შესრულებას. ეს კი სერიოზული პრობლემაა ქვეყნისთვის.

***– ვადა გვაქვს 6 თვე. ქუჩაში გამოსულმა საზოგადოებამ და არცთუ ისე ცოტამ, უკვე დააყენა საკითხი ხელისუფლების ცვლილების. რამდენად გაქვთ ვადამდელი არჩევნების მოლოდინი და პროცესების როგორ განვითარებას ელით? თუკი ვადამდელი დაინიშნა, ის ხომ ძველი სისტემით ჩატარდება. მაშინ რა შეღავათი ოპოზიციას?***

– ვადამდელი არჩევნების ჩატარება ძველი სისტემით და ძველი კანონმდებლობით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

***– ეს ისევ ხელისუფლებას გააძლიერებსო.***

– კი, არის ამის რისკიც. თუმცა გეტყვით იმასაც, რომ „ოცნების“ ელექტორატშიც დაწყებულია ელექტოლარული რღვევა. „ოცნების“ გონიერი ელექტორატი ხვდება, რომ რეალურად ქვეყანა მართლაც გადაჩეხა „ოცნებამ“ ძალიან ცუდი მიმართულებით და ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა დღეის მოცემულობით. „ოცნებამ“ მშვენივრად იცის, რომ სერიოზულ პრობლემებს წააწყდებიან, არჩევნები რომ იგივე სისტემით ჩატარდეს. საარჩევნო სისტემა აუცილებლად უნდა შეიცვალოს, რადგან ამ სისტემით სამართლიანი არჩევნების ჩატარების შანსი არის მინიმალური. თუკი საერთოდ არის. ბოლო არჩევნებმა ეს პირდაპირ დაადასტურა. პრორუსულად განწყობილი სომხეთიც კი რომ საქართველოზე უკეთეს არჩევნებს ატარებს, ეგ ნიშნავს იმას, რომ შენ ამ ინსტიტუტის სანდოობის ფუნდამენტი მთლიანად მორღვეული გაქვს. ევროპამაც სწორედ ამიტომ მოგვთხოვა საარჩევნო რეფორმა და ამის გარეშე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია არჩევნების ჩატარება.

***– როგორ ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ გაატარონ ეს რეფორმები?***

– ამის ერთადერთი იძულება არის შიდა და გარე წნეხი. ერთი მხრივ, დასავლეთის მხრიდან, რომელიც ძალიან მკაფიო გახდა ბოლო პერიოდში და მეორე მხრივ, შიგნით საზოგადოების აზრის და მათ შორის ქუჩაში მშვიდობიანი მანიფესტაციების ჩატარების გზით. ეს ერთ-ერთი დემოკრატიული ინსტრუმენტია, რომ ხელისუფლება იძულებული გახადო, რეფორმები ჩაატაროს. ჩვენ ვნახეთ, რომ ბოლო ორ აქციაზე წარმოუდგენლად ბევრი ხალხი გამოვიდა.

დღეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ საქართველოს კეთილდღეობა და, მათ შორის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც უკავშირდება დასავლეთში ინტეგრაციას. ხალხი ძალიან კარგად ხედავს, რომ საქართველოს მთავრობა არ ასახავს იმ ამოცანებს, რომელიც მათ დაუსახა და რომელიც კონსტიტუციაშიც წერია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანების სიბრაზე არ გაქრება. ამ გაბრაზებული ხალხის დიდი ნაწილი კი ადრე „ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ. როდესაც ხმის მიცემის დრო დადგება, ეს იქნება 2023 წელს თუ 2024-ში, დარწმუნებული ვარ, რომ ეს აუცილებლად აისახება შედეგზე! ქართველი საზოგადოება კარგად ხვდება, რომ „ქართული ოცნება“ მატყუარა თაღლითების ბრბოს დაემსგავსა. ეს ყველაფერი უკვე საერთაშორისო დონეზეც გაფორმდა.

***– შეექმნება სერიოზული პრობლემები ბიძინა ივანიშვილს? სანამ „ქართულ ოცნებას“ ზურგს უმაგრებს ბიძინა ივანიშვილი, რთული იქნება მათი დამარცხება. ანუ ჯერ ივანიშვილი უნდა დავამარცხოთ?***

– დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი ხვდება, რომ ის უპრეცედენტო მოვლენა, რაც მოხდა მისი სახელი და გვარის ევროპარლამენტის რეზოლუციაში მოხსენიება, ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა მისთვის. როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად. ხომ წარმოგიდგენიათ, ჩვენ რა გავიარეთ ბოლო 30 წლის განმავლობაში. ვინ აღარ გვყოლია პოლიტიკაში. დაწყებული კანონიერი ქურდებით, დამთავრებული რუსეთის ჯაშუშებით. ეს ადამიანებიც კი ვერ მოხვდნენ ევროპარლამენტის რეზოლუციაში იმ კონტექსტში, რა კონტექსტშიც მოხვდა ბიძინა ივანიშვილი. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა პრობლემაა მისთვის?! ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ის აკვირდება პროცესებს, აანალიზებს. ჭკვიანი კაცია, არ არის უჭკუო. მან იცის, რომ შემდეგი სანქციების ლისტში, ის უკვე მოხვდება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. როგორც კი ის ამას გაათვითცნობიერებს, რომ ეს გარდაუვალია, ის დაიწყებს უკვე საკუთარი ქონების, საკუთარი მომავლის დაცვის უზრუნველყოფას. თუ რას გააკეთებს ამისთვის, ეს გამოჩნდება. ბურთი მის მოედანზეა და მისი სვლაა. იმედი მაქვს, ეს სვლა იქნება საქართველოს მოსახლეობის სასიკეთოდ. დარწმუნებული ვარ, ის ხვდება ისტორიის კონტექსტსაც, რომ უნდა დადგეს ისტორიის სწორ მხარეს.

***– ანალიზი რომ გავაკეთოთ და შევჯერდეთ, ის პირველ რიგში გადაარჩენს საკუთარ ქონებას, გაწირავს „ოცნებას“ და ამით ჩვენც ვიხეირებთ.***

– დარწმუნებული ვარ, რომ მისი ნომერი პირველი ამოცანა იქნება საკუთარი ქონების, საკუთარი ოჯახის და საკუთარი პირადი უსაფრთხოების დაცვა. ივანიშვილი ამისთვის გააკეთებს ყველაფერს და სხვა ყველაფერი მისთვის არის მეორე, მესამე და მეოთხეხარისხოვანი.

# „ივანიშვილი ოპოზიციას გააკოტრებს, მუხტს დააგდებს და სამთავრობო ცვლილებებს განახორციელებს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „დროებითი მთავრობის იდეა ცოტა გულუბრყვილოა, შეიძლება კრება დარჩეს მხიარული!

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორია თქვენი მოლოდინი ულტიმატუმთან დაკავშირებით, რამდენად წავა ხელისუფლება ტექნიკური მთავრობის ფორმირებაზე?***

– 30 წელია, რაც მესმის ტექნიკური მთავრობის ფორმირება, დროებითი მთავრობის თუ ეროვნული თანხმობის მთავრობის ფორმირებაზე, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოხდა ამ იდეის რეალიზება. ეჭვი მაქვს, რომ ვერც ამჯერად ვერ განხორციელდება ეს იდეა.

***– რატომ?***

– ცოტა გულუბრყვილო იდეაა და იმიტომ. თუ მთავრობას, ნებისმიერ ხელისუფლებას ამის მზაობა აღმოაჩნდება, მაშინ ის ძალაუფლებასაც გადააბარებს ოპოზიციას და ამით დამთავრდება ყველაფერი, მაგრამ რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ასე მარტივად არ ხდება.

ან საერთოდ ვინ უნდა შექმნას დროებითი მთავრობა, ვინ უნდა დააკომპლექტოს, ვინ უნდა იყვნენ დროებითი მთავრობის წევრები. ძალიან ბევრი კითხვაა. ნამდვილად არის კარგი სიტყვათა შეთანხმება, მაგრამ შთაბეჭდილება რჩება, რომ სამწუხაროდ, ყველაფერი ბოლომდე გათვლილი და კარგად გააზრებული არ არის.

***– ფიქრობთ, ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ წავა?***

– მითხარით, რატომ უნდა წავიდეს?!

***– იმიტომ, რომ შინ თუ გარეთ ამის მოთხოვნაა.***

– არ წავა, რადგან ყველანაირად შეეცდება, რომ მუხტი დააგდოს. დღევანდელი ოპოზიცია თავის დროზე ხელისუფლებაში იყო. გავიხსენოთ თუნდაც 2009 წელი და „კარვების ქალაქი“. გახსოვთ, როგორ გაანიავა მაშინდელი მუხტი ოპოზიციამ?! თან მაშინაც ზაფხული დაემთხვა. ისეთი ერთიანი, მაშინ ოპოზიცია რომ იყო, ასეთი უნდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მთელი მუხტი გაიფლანგა და ამან ხალხში დიდი ნიჰილიზმი გამოიწვია.

***– ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ახლა ყველაზე მეტად მთავრობის გამოცვლა ივანიშვილს უნდა აწყობდეს.***

– დიახ, მაგრამ არა ამ ტალღაზე. თუ ახლა ივანიშვილი ამ მთავრობას დაითხოვს და თუნდაც თავად დააკომპლექტებს ახალ მთავრობას, ამას თავის გამარჯვებად მიიწერს ოპოზიცია,



ამიტომ ივანიშვილი შეეცდება, ჯერ ეს მუხტი დააგდოს, ამასობაში ზაფხულიც მოდის და მერე, სექტემბრისთვის არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც გამოცვალოს მთავრობა.

***– და ამას გააკეთებს ძლიერი პოზიციით?***

– დიახ, ოპოზიციას კიდევ ერთხელ გააკოტრებს, არსებულ მუხტს დააგდებს და სამთავრობო ცვლილებებს გააკეთებს, როგორც თვითონ ჩათვლის საჭიროდ. ამიტომ ვამბობ, რომ ოპოზიცია შეცდომას შეცდომაზე უშვებს.

***– რა უნდა ექნათ?***

– ცუდი დრო არის. ზაფხული მოდის. ზაფხული არა მხოლოდ საქართველოში, ყველგან პოლიტიკურად მკვდარი სეზონია. პარლამენტიც არდადეგებზეა. ხალხი ქალაქში არ არის. ცუდი დროა საიმისოდ, რომ გლობალური პროცესები დაიწყო და გამარჯვებით დაასრულო, რადგან ამ ყველაფერს ხალხის ძალა სჭირდება.

***– „ქართული ოცნება“ 12 პუნქტიდან არც ერთ დათმობაზე არ წავა?***

– შეიძლება რაღაცები დათმონ, არც მაგას არ გამოვრიცხავ. ოპოზიციას უკვე შესთავაზეს თანამშრომლობა. დავსხდეთ და ვიმუშაოთო. ირაკლი ღარიბაშვილის ბოლო ბრიფინგის პათოსი, როგორც ჩანს, გაგრძელდება, მაგრამ ხომ აშკარაა, რომ ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმიტაცია და სხვა არაფერი. სწორედ ეს არ უნდა დაუშვას ოპოზიციამ. ეს რომ არ დაუშვას, მაშინ ხალხი უნდა უმაგრებდეს ზურგს. 24 ივნისის აქცია უკვე აღარ იყო ისეთი ხალხმრავალი.

***– მოლოდინიც დიდი არ იყო. 3 ივლისის აქციაზე რას იტყვით, რამდენად იქნება ხალხმრავალი? 20 ივნისის აქციის მსგავსად ხალხის მობილიზება, კვლავ დიდი იქნება რუსთაველზე?***

– როგორც დააანონსეს, რეგიონებში აპირებენ გასვლას და ხალხის რაიონებიდან ჩამოყვანას. ეს უკვე აღარ იქნება სამოქალაქო სულისკვეთებით, სტიქიურად გამოსული ხალხი. ასე თუ ისე, ეს უკვე იქნება პარტიული შეფერილობით გამოსული ხალხი. ზაფხულში აქციები არ მუშაობს. ეროვნული მოძრაობის პიკის დროსაც კი, ზაფხული პოლიტიკურად მკვდარი იყო. ამიტომ, საფრთხე დიდია, რომ კრება მხიარული არ დარჩეს. ძალიან ჭკვიანური ნაბიჯები არის გადასადგმელი, რომ შედეგი მართლა დადგეს და მართლაც ისტორიული შანსი კიდევ ერთხელ არ გავუშვათ ხელიდან. ეს უკვე უპატიებელი დანაშაული იქნება ყველას მხრიდან.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „შეცდომაა, აქციებში პოლიტიკოსების არ ჩართვა“

## მამუკა გვაძაბია: „ივანიშვილი და მისი ფული რუსეთის არაფორმალურ კოლონიად გვაქცევს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, 20 და 24 ივნისს ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში ევროპული მომავლის დასაცავად. იყო მოწოდებები ხელისუფლების გადადგომასთან დაკავშირებით. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით? რატომ გვითხრეს უარი და რა არის გასაკეთებელი?***

– პრობლემა ძალიან რთულია, თუმცა ძალიან მარტივია ამ ყველაფერზე პასუხი. რთულია იმიტომ, რომ ამ ჩვენი საუკუნოვანი მისწრაფების, ჩვენი სანუკვარი ოცნების განხორციელებისთვის, რასაც ევროპული ოჯახი ჰქვია, ამის გასაკეთებლად ბოლო 30 წელია ყველაფერი გამოვცადეთ. ომები, სახელმწიფო გადატრიალება და, როგორც იქნა, გარკვეულ ნაბიჯამდე მივედით, გვირაბის ბოლოს შუქი გამოჩნდა. ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერად მიდიოდა საქართველო ევროპისკენ. შემდეგი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო კანდიდატის სტატუსი. თუმც ვხედავთ, რაც ხდება.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებამ მიზანმიმართულად გააფუჭა საქმე.***

– მე ამას 2012 წლიდან მოყოლებული ვამბობდი, როდესაც ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში. ჭორის დონეზე არ ვამბობდი ამას, მე მქონდა ზუსტი ინფორმაცია, თუ რას წარმოადგენდა ივანიშვილი. ასევე, რა ხიფათს წარმოადგენდა, უკიდურესად პოლიტიზირებული რუსული ფულის შემოსვლა საქართველოს პოლიტიკაში. სულ ვამბობდი და ვამბობ, რომ ივანიშვილი და მისი ფული რუსეთის არაფორმალურ კოლონიად გვაქცევს.

***– ანუ, ეს იყო მიზანმიმართული პროცესი მთელი ამ წლების განმავლობაში?***

– აბსოლუტურად! ბიძინა ივანიშვილი არის რუსეთის გავლენის აგენტი. პირდაპირ გავლენის აგენტია, რომელმაც ვერანაირად თავი ვერ დაიძვრინა იქიდან და ძალიანაც რომ უნდოდეს, ამას ვერ მოახერხებს. რუსეთის სპეცსამსახურებს და კერძოდ კრემლს, ისეთი კომპრომატები აქვს ბიძინა ივანიშვილზე, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ეს გამოამზეურონ. იმდენად მძიმე კომპრომატები აქვთ ივანიშვილზე, რომ ამის გაჟონვა და ალბათ ივანიშვილი სუიციდით დაასრულებს სიცოცხლეს.

***– რატომ, ასეთი რა კომპრომატები აქვთ?***

– ძალიან მძიმე კომპრომატები მაგის მოღვაწეობის შესახებ. ისეთ პერიოდში აქვს რუსეთში ფული ნაშოვნი, როდესაც 1.000 დოლარისთვის კაცს სადარბაზოში გააგორებდნენ. მაგ პერიოდში მანდ ვიყავი და ჩემ თვალწინ საოცარი რაღაცები მომხდარა.

***– ევროკომისიამ თავის რეზოლუციაში ჩაწერა დეოლიგარქიზაცია, ანუ იგულისხმება, რომ არაფორმალური მმართველი, ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან. რა მოლოდინი გაქვთ?***

– დეოლიგარქიზაცია ნიშნავს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან წასვლას! სხვანაირად დეოლიგარქიზაცია ვერ მოხდება. ჩვენ თამაშის ის წესები უნდა გავიზიაროთ, საითკენაც მივდივართ. აქ ორმხრივი ინტერესია, მარტო ჩვენი ლამაზი თვალების გულისთვის ევროკავშირში არავინ მიგვიღებს. უნდა მივიღოთ თამაშის ის წესები, რომელსაც ისინი გვთავაზობენ. ამ ეტაპზე სწორედ იმიტომ არ მოგვცეს სტატუსი, რომ დეოლიგარქიზაცია უნდა მოხდეს ჩვენს ქვეყანაში. სტატუსი რომ არ მოგვცეს, პირველი, რაც ვთქვი, იყო ის, რომ ზოგი ჭირი მარგებელია.

***– რატომ?***

– ჩვენთვისაც რომ მოეცათ უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად კანდიდატის სტატუსი, აქ ხომ არავინ არაფრის შეცვლას დაიწყებდა? არც ხელისუფლების შეცვლის საკითხი დადგებოდა დღის წესრიგში. როგორი საქართველოსთვის უნდა მიეცათ სტატუსი, სადაც სპეცსამსახურები ერთი კაცის სამსახურშია? სადაც სუსი რუსეთის სპეცსამსახურების ფილიალად გადაიქცა? მთელი სასამართლო სისტემა 2-3 კაცის განკარგულებაშია და ის ორი კაცი იმ ერთ ოლიგარქს ემორჩილება. ამიტომაც ევროპამ მოგვცა საშინაო დავალება, გამოვასწორებთ ამ სიტუაციას, მაშინ გავხდებით მათი ნაწილი, არადა, დავრჩებით იქ, სადაც ვართ. ჯერი ჩვენზეა, ქართველ ხალხზე. ხელისუფლებას რომ ცვლილება არ უნდა, ეს ცხადია. ამიტომ ზოგი ჭირი მარგებელია.



***– ანუ გაჩნდა შანსი შევცვალოთ ხელისუფლება?***

– რა თქმა უნდა. ეს ხელისუფლება არის უთუოდ მოსაშორებელი. ბოლო სამი არჩევნები საქართველოში ტოტალურად გაყალბდა.

***– ახლა, როდესაც ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ, რა გარანტია გვაქვს, რომ კიდევ არ გაყალბდება? თუკი ისევ ძველი კანონმდებლობით ჩატარდება.***

– სწორედ ამიტომ, ევროპელი მეთვალყურეების ქვეშ უნდა მოხდეს, თუკი მოხდა. ერთსაც გეტყვით, ძალიან აირია სიტუაცია.

***– რას გულისხმობთ სიტუაციის არევაში?***

– 20 ივნისის აქციაზეც ვიყავი, 24 ივნისსაც, ხალხი გამოდის ქუჩაში, მაგრამ ძალიან დაბნეულია. აქციის ორგანიზატორებმა, პოლიტიკოსებს ფაქტიურად კარი ჩაუკეტეს და პოლიტიკოსების გარეშე, პოლიტიკური პროცესები როგორ წარმოგიდგენიათ?! ძალიან კარგად ვიცი, როგორი პოლიტიკური ისტებლიშმენტი გვყავს, მაგრამ პოლიტიკოსების გარეშე ასეთი რთული საკითხების გადაწყვეტა, როგორ წარმოგიდგენიათ?! ხალხი ძალიან დაბნეულია.

***– პოლიტიკური გამოსვლები უნდა იყოს?***

– დიახ, ეს აუცილებელია. ახლა ვიღაცას ვიღაცის მოშორება უნდა, მოდი ჯერ არ დავკონკრეტდები და ამის გამო, რომ ვიღაცას ვიღაცის მოშორება უნდა პოლიტიკური პროცესებიდან, ამიტომ პოლიტიკოსებს აუკრძალეს პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა. ძალიან მღვრიე წყალია და ეს მაშინებს. მაშინებს, რომ ამ მღვრიე წყალში ჩვენმა მტერმა არ დაიჭიროს თევზი. მე შემთხვევით არც ერთ განცხადებას არ ვაკეთებ. ზუსტი ინფორმაცია რომ არ მქონდეს, ამას არ ვიტყვი არავითარ შემთხვევაში.

***– რა ინფორმაციები გაქვთ?***

– ძალიან ცუდი გზავნილები მოდის რუსეთიდან. დღეს რუსეთს ძალიან უჭირს უკრაინაში და კიდევ უფრო გაუჭირდება. აზიის და ჩინეთის გზები გადაკეტილია. ყველაფერი ფოთის პორტს მოაწვება და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ამის გამო რუსეთი ძალიან გაცოფებულია. ამიტომ მოდის ინფორმაციები, რომ რუსეთი საქართველოს შემოუტევს და ამ გზასაც ჩაკეტავს. ეს ყველაფერი ივანიშვილმა მშვენივრად იცის.

***– 6 თვე მოგვცა ვადა ევროპამ. ამ პერიოდში ელით ცვლილებებს?***

– მე ეჭვი მეპარება, ამ ხელისუფლებამ რამე შეცვალოს. თუ ჩვენ ერი ვართ და გვინდა, რომ ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი ვიყოთ, მაშინ ქართველი ერი უნდა გავიდეს ქუჩაში! სხვა გამოსავალს ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. რას ჰქვია, პოლიტიკურ პროცესში პოლიტიკოსებს მონაწილეობას არ მივაღებინებთ?! აბა ვის უნდა ვუსმინოთ?! შესაძლოა გარკვეულ ეტაპზე, ტაქტიკური მოსაზრების გამო, თვალი დახუჭეს, მაგრამ ასე აღარ გამოვა. პოლიტიკოსების გარეშე პოლიტიკური პროცესი არ წარიმართება. ეს უნდა გაიგოს იმან, ვისაც ეხება ჩემი გზავნილი! მაქსიმალურად ბევრი ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, მართვადი ქაოსი უნდა მოვუწყოთ ხელისუფლებას! იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი ჩვენ ამ ეტაპზე არ გვაქვს.

# თეა წულუკიანმა კახა კალაძეს ომი გამოუცხადა



დიდი დაპირისპირება თეა წულუკიანსა და კახა კალაძეს შორის – „შაბათის ეთერის“ ინფორმაციით, კულტურის მინისტრმა და დედაქალაქის მერმა უკიდურესად იჩხუბეს, მიზეზი – გავლენებისთვის ბრძოლაა.

წყაროს ინფორმაციით, თეა წულუკიანმა კულტურის მემკვიდრეობის საბჭოდან, რომელიც ძველ თბილისში მშენებლობის ნებართვებს გასცემს, წევრები დემარშით გამოიყვანა.

სპეციალისტები მინისტრის დემონსტრაციული სვლის უკან, თეა წულუკიანის ინტერესს ხედავენ – კულტურის მინისტრი ცდილობს, დედაქალაქის მერი მარტო ველარ წყვეტდეს, რა და სად უნდა აშენდეს ძველ უბანში.

ტვ პირველის ცნობით, ახლა კალაძე და წულუკიანი ჭიდაობენ, ვის კართან უნდა დადგნენ მილიონერი ბიზნესმენები, ვისაც მშენებლობის ნებართვა დასჭირდება. ყველასთვის ცნობილია, რომ ძველი თბილისის მშენებლობებში მილიონები ბრუნავს.

მეტი სიცხადისთვის: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში, მშენებლობის ნებართვებს წესით კულტურის სამინისტრო უნდა გასცემდეს, თუმცა ეს უფლებამოსილება სამინისტროს მერიისთვის აქვს გადაცემული და წლებია ამ საქმეში ერთად არიან. 9 ადამიანისგან შემდგარ საბჭოში, სამი ხმა წულუკიანის ხალხს აქვს, ოთხი კალაძის – ორი კი ნეიტრალური ექსპერტია.

2018 წელს მიღებული დადგენილებით, საბჭოს შემადგენლობას თბილისის მერია კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს, თუმცა წულუკიანის დემარშის შემდეგ, დარღვეულია ბალანსი და ხმები ისე იყოფა, რომ თბილისის მერიას შეუძლია ნებისმიერ წარმოდგენილ პროექტს მსვლელობა თავად მისცეს და თავადვე გადაწყვიტოს.

ადამიანი კახა კალაძის გუნდიდან, „შაბათის ეთერს“ უყვება, რომ წულუკიანის გაღიზიანება სწორედ კალაძის უპირატესობამ გამოიწვია.

მისივე თქმით, მინისტრსა და მერს შორის პირველი დავა ივანიშვილის გუნდის ორ გავლენიან ლიდერს შორის, ორბელიანის მოედანზე მდებარე ჩუბინაშვილის ინსტიტუტის სარდაფში ჩასასვლელის გაჭრის ნებართვას მოჰყვა. წულუკიანმა გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. კალაძის უარის შემდეგ კი გაბრაზდა და მერს ღია ომი გამოუცხადა.



კალაძე და წულუკიანი ერთმანეთს არც კი ესალმებიან. მეტიც, კულტურის მინისტრმა დედაქალაქის მერი სპორტის სასახლის გახსნაზე არც კი დაპატიჟა

# სამოქალაქო საზოგადოება ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას და ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნას ითხოვს

## ამისთვის ხელისუფლებას 1-კვირიან ვადას აძლევს




წარმოგიდგენთ მოთხოვნას, რომელიც არის ქართველი ხალხის მოთხოვნა, დათქმა და ბოლო მკაცრი ამოთქმა – გადადგეს ირაკლი ღარიბაშვილი და ეროვნული თანხმობით შეიქმნას მთავრობა, რომელიც ევროკავშირის მიერ წარმოდგენილ 12-ვე პუნქტს შეასრულებს, სანამ ზამთარი მოვა.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტთან 24 ივნისს მიმდინარე აქციაზე – „შინ ევროპისკენ“ ერთ-ერთმა ორგანიზატორმა შოთა დიღმელაშვილმა განაცხადა, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოების სამოქმედო გეგმა და მოთხოვნები გააჟღერა.

შოთა დიღმელაშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას 1 კვირის ვადას აძლევენ იმისათვის, რომ „ბიძინა ივანიშვილის მთავრობა გადააყენოს“.

მისივე ინფორმაციით, აქციის ორგანიზატორები 3 ივლისამდე საქართველოს რეგიონებში გავლენ, რის შემდეგაც თბილისში დაბრუნდებიან და პარლამენტის შენობასთან დარჩებიან.

– წარმოგიდგენთ მოთხოვნას, რომელიც არის ქართველი ხალხის მოთხოვნა, დათქმა და ბოლო მკაცრი ამოთქმა – გადადგეს ირაკლი ღარიბაშვილი და ეროვნული თანხმობით შეიქმნას მთავრობა, რომელიც ევროკავშირის მიერ წარმოდგენილ 12-ვე პუნქტს შეასრულებს, სანამ ზამთარი მოვა. ვაძლევთ ვადას ხელისუფლებას, მათ აქვთ 1 კვირა იმისათვის, რომ გადააყენოს ბიძინა ივანიშვილის მთავრობა.

იმ შემთხვევაში თუ ბიძინა ივანიშვილი ყურად არ იღებს ქართველი ხალხის ნებას, ჩვენ მოვალთ კიდევ უფრო მეტნი, ვიდრე ვართ დღეს, ან ვიყავით 20 ივნისს და ვანახებთ მათ ქართველი ხალხის რისხვას, რომელიც ჯერ კიდევ არ უნახავთ. მანამდე ჩვენ მივალთ ყველასთან, ყველა უბანში ქალაქში და სოფელში. 3 ივლისამდე ვივლით და დავარწმუნებთ ადამიანებს, სად სუფევს საქართველოს ხსნა. ხოლო 3 ივლისს წამოვალთ ყველა ქალაქიდან, შევუერთდებით ერთმანეთს ნაკადებს და ავიზვირთებით თბილისში, პარლამენტის წინ და არ დავიშლებით, სანამ არ დაიშლება ოლიგარქია, – აღნიშნა შოთა დიღმელაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ დიღმელაშვილის გამოსვლისას აქციის მონაწილეები სკანდირებდნენ – „წადი“, „გადადექი“.

# სალომე სამადაშვილი: „საპარლამენტო საქმიანობა ევროკავშირის 12-პუნქტიანი მოთხოვნების შესრულებაზე უნდა იყოს აგებული“



„ლელოს“ პოლიტიკური მდივნის სალომე სამადაშვილის განცხადებით, საპარლამენტო პარტიებთან მიმდინარეობს კონსულტაცია, რათა პარლამენტისთვის საგანგებო დღის წესრიგი შეიქმნას.

როგორც სამადაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, საპარლამენტო საქმიანობა მთლიანად უნდა იყოს აგებული ევროკავშირის 12-პუნქტიანი მოთხოვნების შესრულებაზე და „თუ „ქართული ოცნება“ არ აპირებს წამოვიდეს ამ დღის წესრიგით, „საქართველოს პარლამენტში საქმიანობა ჩვეულებრივ რეჟიმში ვერ გაგრძელდება“.

– ნათელია, რომ საქართველოს პარლამენტში საქმიანობა ჩვეულებრივ რეჟიმში ვერ გაგრძელდება. საპარლამენტო საქმიანობა მთლიანად უნდა იყოს აგებული ევროკავშირის 12-პუნქტიანი მოთხოვნების შესრულებაზე იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტის საქმიანობას დღეს არანაირი აზრი არ ექნება.

ამიტომ ჩვენ ვაგრძელებთ კონსულტაციებს პარლამენტში წარმოდგენილ სხვა პარტიებთან იმისთვის, რომ შეიქმნას საგანგებო დღის წესრიგი პარლამენტისთვის და დაუყოვნებლივ დავიწყოთ პარლამენტში იმ ინიციატივების გატარება, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი შემდეგ ჯერზე მაინც მიიღოს. ეს სინქრონიზებულია იმ პროცესთან, რაც გუშინ დაანონსდა, როდესაც შემოგვთავაზეს ეროვნული თანხმობის მთავრობის ფორმირება. ჩვენ დღესვე შეგვიძლია დავიწყოთ მომზადება იმ სამოქმედო გეგმის, რომელიც უკვე უნდა განხორციელდეს პარლამენტში.

თუ „ქართული ოცნება“ არ აპირებს წამოვიდეს ამ დღის წესრიგით, „ლელოს“ პოზიციაა, რომ საქართველოს პარლამენტში საქმიანობა ჩვეულებრივ რეჟიმში ვერ გაგრძელდება იმიტომ, რომ ეს დღეს უკვე ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. თუმცა საბოლოო სამოქმედო გეგმა უნდა ჩამოყალიბდეს ერთობლივად, ყველა ოპოზიციური პარტიის მიერ, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

# „ჩხარტიშვილი, ხაზარაძე, ჯაფარიძეც ოლიგარქები არიან“

მარიამ მჭედლიშვილი

## მირიან მირიანაშვილი: „არ მესმის, რა საჭიროა ენერგიის ხარჯვა ისეთ არარეალურ მოთხოვნაზე, როგორიცაა მთავრობის გადაყენება და თანხმობის მთავრობის შექმნა“

**ახლად დაფუძნებულმა სახალხო მოძრაობამ, რომელიც აერთიანებს „სირცხვილიას“, სხვა საზოგადოებრივ მოძრაობებსა და აქტივისტებს, 24 ივნისს ხელისუფლებას მისცა ერთკვირიანი ვადა მთავრობის გადასადგომად და მის მაგივრად დროებითი ეროვნული თანხმობის მთავრობის შესაქმნელად. მოთხოვნის ავტორების აზრით, მხოლოდ ეროვნული თანხმობის მთავრობას შეუძლია იმ 12 პირობის შესრულება, რომელიც საქართველოს მიეცა იმისთვის, რომ წლის ბოლოსთვის გახდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მირიან მირიანაშვილს.**

***– თუ მთავრობის გადადგომისა და ეროვნული თანხმობის ჩამოყალიბების მოთხოვნა არ შესრულდა, ახლად შექმნილი სახალხო მოძრაობა უფრო მასშტაბური საპროტესტო აქციებით იმუქრება. გამოდის, რომ წინ ფართო საპროტესტო მოძრაობა გველის?***

– აქციებს წინ რა დაუდგება?! ამის მეტი რა გვინახავს. საქართველოში აქციებისთვის ბევრნაირი საბაბი ყოფილა გამოყენებული. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიაროთ დასავლეთისკენ, უნდა შევასრულოთ 12-პუნქტიანი პროგრამა, რომელიც ევროკავშირმა შემოგვთავაზა. დიდი ძალისხმევა გვმართებს. არ მესმის, რა საჭიროა ენერგიის ხარჯვა ისეთ არარეალურ მოთხოვნაზე, როგორიცაა მთავრობის გადაყენება და თანხმობის მთავრობის შექმნა.

***– ამ მოთხოვნას არ იზიარებთ?***

– ეს მიმაჩნია დროისა და ენერგიის ტყუილუბრალოდ ხარჯვად. ევროკავშირის მიერ გაწერილი 12 მუხლი ისედაც ძალიან რთულად შესასრულებელია. რატომ უნდა ვხარჯოთ რესურსები იმაზე, რაც ვერ შესრულდება, რაც განუხორციელებელია! მთავრობის შეცვლის მოთხოვნით გამოსვლები დესტაბილიზაციის გარდა არაფერს მოიტანს. მთელმა საზოგადოებამ ჩვენი ძალები უნდა მოვახმაროთ იმას, რაც ჩამოწერილია. განსაკუთრებით ძნელად შესასრულებელია დეოლიგარქიზაცია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ საქართველოში ოლიგარქატს კარგად აქვს ფესვები გადგმული. ბიძინა ივანიშვილის მომხრე და მისი ფანკლუბის წევრი არა ვარ, მაგრამ ხომ უნდა ითქვას, რომ ოლიგარქატი ფართო და მრავალფეროვანია. ივანიშვილი იურიდიულად არ ფლობს პარტიას და მედიას.



**„აქტიური საზოგადოება უნდა დაკავდეს საქართველოს მრავალფეროვანი ოლიგარქატის წრის გასაჯაროებით“**

სამაგიეროდ, სხვა ოლიგარქები ფლობენ. მათ საკუთრებაშია პოლიტიკური პარტიებიც და მედიაც. პირდაპირ თუ ირიბად, ეს ოლიგარქები ფლობენ მთელ ქვეყანას. ამაზე უნდა იყოს აქცენტი გაკეთებული და არა მთავრობის გადადგომაზე. მთავრობის გადაყენება, შეცვლა რომ ყოფილიყო საჩქარო, ამაზე ევროკავშირი დიპლომატიურად მიგვითითებდა.

***– უნდა დავკავდეთ 12 პუნქტის შესრულებით? პირველ რიგში, ყველა ოლიგარქის მხილებით?***

– ამაზე უნდა დავხარჯოთ ენერგია და არა განუხორციელებელ მოთხოვნებზე. სამწუხაროდ, მეორდება იგივე, რაც ხდებოდა წლების განმავლობაში – დასავლეთი გვეუბნებოდა ერთს, ჩვენ ვაკეთებდით მეორეს. ეს უმეტესად ხდებოდა და ხდება ფსევდოდასავლურობის ფონზე.

***– დეპოლარიზაციის პუნქტი არ იქნება რთული შესასრულებელი?***

– გეტყვით, რა წარმოდგენა აქვს საქართველოში შექმნილ პოლარიზაციაზე, პოლიტიკურ პროცესებზე აშშ-ის პოლიტიკურ ელიტას. ვაშინგტონში დარწმუნებული არიან, რომ საქართველოს პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირება ხელოვნურია, რომ ისინი ერთი ცენტრიდან იმართებიან. მგონი, ზედმეტია იმის ახსნა, რომ ეს ცენტრი დასავლეთში არ არის. დეპოლარიზაცია ნიშნავს პოლიტიკური თეატრის დემონტაჟს. დღეს გვაქვს სამწუხარო რეალობა – პოლიტიკური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა არ არის დამოუკიდებელი.

პარტიები იმართებიან ერთი ცენტრიდან და მონაწილეობენ პოლიტიკურ სპექტაკლებში. პოლიტიკური თეატრი აუცილებლად დასრულდება, იმიტომ, რომ დასავლეთი საქართველოს არ შეეშვება და ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეაჩერებს დასავლეთის პოლიტიკური გავლენების ზრდას საქართველოში და, საერთოდ, რეგიონში. ძვრები პოლიტიკურ სისტემაში გარდაუვალია. იქნება დრამატიზმი და ბევრი ემოცია, იმედია, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება. ცვლილებები ქართულ პოლიტიკაში იქნება რევოლუციური. იმაზე, რომ არ მოხდეს დესტაბილიზაცია და ძვრებმა მშვიდობიანად ჩაიაროს, იზრუნებს აშშ-ის საელჩო.

***– უახლოესი გეგმა დეოლიგარქიზაციაა? იქნებ, საქართველოს ოლიგარქებზე მეტი თქვათ?***

– ოლიგარქიული სისტემა საკუთრების ფორმებსაც ასახავს. ეს სისტემა 32 წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და რამდენიმე ციკლი გაიარა.

***– პრორუსული ჯგუფების პროპაგანდის თანახმად, საქართველომ რომ ამ წლებში წარმატებას ვერ მიაღწია, დასავლეთის ბრალია.***

– ეს ჩვეული რუსული ნარატივია. ოლიგარქიული სისტემა თავისთავად ნიშნავს რუსეთის გავლენას. დასავლეთის პოზიტიური როლი ამ წლებში ის იყო, რომ საქართველოს სახელმწიფო გადარჩა. დღეს დასავლეთი მოგვიწოდებს დეოლიგარქიზაციისკენ. ევროკავშირს არანაირად არ აწყობს თავის შემადგენლობაში რუსეთზე დამოკიდებული ქვეყნის ყოლა. ეს იქნებოდა რუსეთისთვის ვეტოს უფლების მიცემა. ჩემი დაკვირვებით, შემოდგომაზე ხსენებულ 12 მოთხოვნას დაემატება კიდევ ერთი ლუსტრაცია.

***– რუსეთის აგენტების გამოვლენა?***

– ცხადია. ეს აუცილებელი პირობაა ევროგაერთიანებაში შესასვლელად. ეს გზა გაიარა ყველამ, ვისაც უნდოდა ევროკავშირის წევრობა.

***– დეოლიგარქიზაციის მოთხოვნა უკრაინასა და მოლდოვასაც (ისინი 24 ივნისს გახდნენ კანდიდატები) წამოუყენეს.***

– ევროგაერთიანება თავს იზღვევს. აბა, ცალ-ცალკე ყველა ოლიგარქის რუსულ კავშირებს ხომ არ შეისწავლის?! დასავლეთს უნდა რუსეთის გავლენის შემცირება. მოლდოვა ბევრ სფეროში დაწინაურებული ქვეყანა არ არის, მაგრამ ამ მხრივ მასთან ნაკლები პრეტენზიებია. დეოლიგარქიზაციას რამდენიმე ამოცანა აქვს ევროკავშირში ინტეგრაცია, რუსეთის გავლენის შემცირება და ოლიგარქების როლის დამცრობა. 12-პუნქტიან პროგრამაში საქართველოს ოლიგარქების სიას ხომ არ წარმოადგენდნენ, მიგვითითეს, რომ ერთ ადამიანზე არ არის საუბარი.

ივანიშვილის გვარი ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩაწერეს, ევროკომისიის დასკვნა შემდეგ იყო. იქ ნახსენებია ოლიგარქატი. საქართველოში ოლიგარქატი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. როგორც გითხარით, ეს მდიდარი ადამიანები ფლობენ დიდ ქონებას (ოფშორებშიც), მსხვილ ტელევიზიებს, აქტიურად არიან ჩაბმული პოლიტიკაში. ზოგიერთი მათგანი პარტიის ლიდერია. ისინი არიან საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. მაგალითად, ვანო ჩხარტიშვილი ლონდონურ დაჯგუფებას მიეკუთვნება. მასთან პირდაპირ არის დაკავშირებული პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“, რომლის თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე ვენებს იჭრის თითქოსდა დასავლეთის ღირებულებების დასაცავად. რატომ არ არიან ოლიგარქები მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე? პარტია არა აქვთ? პარტია პარლამენტში არ არის წარმოდგენილი?

***– კიდევ ვის დაასახელებთ?***

– ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩამოთვლილებს დავამატებ ავთანდილ წერეთელს და დავით კეზერაშვილს. არც ერთი ოლიგარქი არ არის დაინტერესებული დეოლიგარქიზაციით. თავის თავს ხომ არ ჩაძირავენ!

***– თუ რჩება იმის იმედი, რომ ეს მთავრობა როგორღაც შეასრულებს 12-პუნქტიან პირობებს და წლის ბოლოს საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდება?***

– რთული პერიოდი გველოდება. მოველი ოლიგარქების წინააღმდეგობას (საქმით და არა სიტყვით), იმიტაციებს, ემოციებს. დარწმუნებული ვარ, რომ სიძნელეების გადალახვასა და გაურკვეველი საკითხების განმარტებაში დაგვეხმარებიან აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები. თუ ოლიგარქებს გულწრფელად უნდათ საქართველოს ხილვა ევროკავშირში, კეთილი ინებონ და წავიდნენ პოლიტიკიდან. რაც უფრო ძლიერია ოლიგარქატი ქვეყანაში, მით უფრო დიდია იქ რუსეთის გავლენა, ასევე, ხალხის სიღარიბე და სიღატაკე. აქტიური საზოგადოება უნდა დაკავდეს საქართველოს მრავალფეროვანი ოლიგარქატის წრის გასაჯაროებით. ეს ევროგაერთიანებამდეც მიგვიყვანს, რუსეთის გავლენებისგანაც გვიხსნის და სიღარიბისგანაც. ძლიერი ოლიგარქი ნიშნავს ღარიბ მოსახლეობას. ბოლოს და ბოლოს, უნდა გავარკვიოთ, ვართ თუ არა პოლიტიკური სუბიექტი? შეგვიძლია თუ არა განვითარება? ვართ თუ არა ერი? ამას თუ ვერ დავამტკიცებთ, მაშინ არც ევროკავშირის კანდიდატობის ღირსი ვყოფილვართ და არც იმისი, რომ სახელმწიფო გვქონდეს და ერი გვერქვას.

# ალექსი პეტრიაშვილი: „ღარიბაშვილმა ბოდიში მოუხადოს ჩვენ ქართველ მეომრებს!“



მე აქედან მაქვს ჩემი მოთხოვნა, პირადად ღარიბაშვილის მიმართ, ბოდიში მოუხადოს ჩვენ ქართველ მეომრებს! დაქირავებული მოხალისეები თავის დაცვაში მოიკითხოს. ეს ხალხი სამშობლოსთვის იბრძვის იქ.

ამის შესახებ დიპლომატმა, ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიაშვილმა 24 ივნისს აქციაზე „შინ ევროპისკენ“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც მან რუსთაველზე შეკრებილ საზოგადოებას მიმართა, საქართველოს ბედი წყდება ახლა და „მთავრობის ყველაზე ცუდი ვერსიით შევხვდით ამ ყველაზე მნიშვნელოვან დღეს“.

– ყველაზე უბადრუკი, ყველაზე ცუდი ვერსიის მთავრობით შევხვდით ამ ყველაზე მნიშვნელოვან დღეს. ყველა დიდმა ლიდერმა, ყველა დიდმა სახელმწიფომ გუშინ, ქართველ ხალხს მიულოცა და გისურვათ, გააკეთოთ თქვენი გასაკეთებელი.

ჩვენ უნდა გავაკეთოთ ჩვენი გასაკეთებელი, რომ ეს ქვეყანა არასდროს დაბრუნდეს უკან – საბჭოთა კავშირში! წინ, ევროპულ კავშირში, იქ არის ჩვენი ადგილი.

დღევანდელი ხელისუფლება ყოველთვის იმეორებს, რომ „ჩვენ ვიბრძოლეთ“ , „ჩვენ არავისზე ნაკლები სისხლი არ დაგვიღვრია“. დიახ, არავისზე ნაკლები სისხლი არ დაგვიღვრია, ახლაც იბრძვიან ქართველი ბიჭები და მე აქედან მაქვს ჩემი მოთხოვნა, პირადად ღარიბაშვილის მიმართ, ბოდიში მოუხადოს ჩვენ ქართველ მეომრებს! დაქირავებული მოხალისეები თავის დაცვაში მოიკითხოს. ეს ხალხი სამშობლოსთვის იბრძვის იქ. ჩავიდეს და ჰკითხოს, რისთვის იბრძვიან ეს ბიჭები, რისთვის სწირავენ სიცოცხლეს. ეს ხალხი ღიად ამბობს – აქ ჩვენ ვიბრძვით უკრაინისთვის, მაგრამ ვიბრძვით საქართველოს მომავლისთვის! ამიტომ ბოდიში გეკუთვნის.

არ მაქვს იმედი, რომ ეს ხელისუფლება რამის გამკეთებელია, ამიტომ ჩვენ, ხალხმა, 3 ივლისს, 20:00 საათზე, კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა უნდა ვთქვათ, რომ ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება, ვინც წინ აღუდგება ამ გადაწყვეტილებას, უნდა წავიდეს სახლში! – განაცხადა პეტრიაშვილმა.

ინფორმაციისთვის, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, რომ უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ღიად თქვა, „აღიარებითი ჩვენება მისცა ყველას, რომ მათი სურვილი იყო მეორე ფრონტი საქართველოში“.

– საჯაროდ გამოვიდნენ მათი [„ნაციონალური მოძრაობის“] მეგობრები, არახამია და დანილოვი, რომელიც არის უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი და ღიად თქვა, აღიარებითი ჩვენება მისცა ყველას, რომ მათი სურვილი იყო მეორე ფრონტი საქართველოში და რომ თურმე მხოლოდ უკრაინელი ქალები და ბავშვები არ უნდა იღუპებოდნენ. ეს იყო მათი აღიარება.

ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენ კარგად გვახსოვს მათი მოთხოვნები – ითხოვდნენ, რომ საკუთარი ხალხისთვის დაგვეწესებინა ეკონომიკური სანქციები, მეორე ის, რომ ითხოვდნენ ჩარტერული რეისებით მთავრობას უნდა გაგვეშვა მათი დაქირავებული, ასე ვთქვათ, მოხალისეები. ძვირფასო ოპონენტებო, ეს ყველაფერი არის თქვენი ხელწერა, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

# ირაკლი ქადაგიშვილის შეფასებით, მოთხოვნა ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შესახებ არაკონსტიტუციურია

„ქართული ოცნების“ წევრის ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, 24 ივნისის აქციაზე გაცხადებული მოთხოვნა ირაკლი ღარიბაშვილის მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვების შესახებ არაკონსტიტუციურია და არ ჯდება იმ სულისკვეთებაში, რაც ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოსთან მიმართებაში არსებობს.



მისვე განმარტებით, აქედან გამომდინარე, აბსურდული გადაწყვეტილებები არანაირად იქნება მიღებული და პირიქით, ახლა უფრო მეტი კონსოლიდაციის დროა.

– ამიტომ, მათი მოთხოვნები არა თუ კონსტიტუციასთან, პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცესებთან არის შეუსაბამო, არამედ დღეს კონკრეტულ პოლიტიკურ მომენტში შეუსაბამოა იმ გზავნილთან, პერსპექტივასა და სამუშაოსთან, რაც ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველომ უნდა შეასრულოს.

იმისთვის, რომ რეკომენდაციები შესრულდეს, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება, რომლის ინიციატორი იქნება როგორც მთავრობა ისე პარლამენტი. აქედან გამომდინარე, ყველა ეს ნაბიჯი, ბუნებრივია, გავლილი იქნება ევროკომისიასა და ევროპულ საბჭოსთან ერთად. ეს არის ის სამუშაო, რაც ამ პერიოდში იქნება შესასრულებელი.

დეპოლარიზაციის მხრივ ყველაზე მთავარი არის ის, რომ ასეთი ტიპის განცხადებებს დიდი დრო აღარ უნდა დავუთმოთ და ვიმუშაოთ, ხოლო თუ რატომ უნდა გვენდოს საქართველოს მოსახლეობა, ამას მიტინგი არ წყვეტს, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

# ელენე ხოშტარია: „არავის აქვს ილუზია, რომ მხოლოდ მთავრობის გადადგომა არის დეოლიგარქიზაციის დასასრული“



პარტია „დროა“ მხარდაჭერას უცხადებს სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნას, რომელიც პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას და ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნას ითვალისწინებს.

როგორც პარტიის ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ ბრიფინგზე განაცხადა, არავის აქვს ილუზია, რომ მხოლოდ მთავრობის გადადგომა არის დეოლიგარქიზაციის დასასრული. მისი თქმით, მთავრობის გადადგომას უნდა მოჰყვეს ეროვნული თანხმობით დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება.

– დეოლიგარქიზაციას სჭირდება კონკრეტული გეგმა, რომელიც გუშინ სახალხო მოძრაობისგან მოვისმინეთ და სრულ მხარდაჭერას აღვუთქვამთ. ეს არის პირველი ნაბიჯი – ხელისუფლების, მთლიანად მთავრობის გადადგომის მოთხოვნა! ღარიბაშვილის და იმ გუნდის, რომელმაც ჩიხში შეიყვანა ჩვენი მთავრობა და ქვეყანა. რა თქმა უნდა, არავის აქვს ილუზია, რომ მხოლოდ მთავრობის გადადგომა არის დეოლიგარქიზაციის დასასრული.

მთავრობის გადადგომას უნდა მოჰყვეს ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება, რომელიც იქნება ინსტრუმენტი იმ ვალდებულებების შესრულების, რომელიც ჩვენ ძალიან მკაფიოდ დაგვისახა ევროკავშირმა. ამ 12 პუნქტის ნაწილია სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა, რათა ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდეს სამართლიანი არჩევნები. გარედან ზეწოლა დემოკრატიისთვის, გარედან ზეწოლა ჩვენი ხალხის მხარდაჭერისთვის, ასევე ბიძინა ივანიშვილის და მისი გარემოცვის სანქცირება, შიგნიდან კი ასეთი მწყობრი ერთიანი მოძრობა აუცილებლად მიგვიყვანს დეოლიგარქიზაციისკენ და ევროპული მომავლისკენ, – აღნიშნავს ხოშტარია.

# ლევან კაჭარავას მკვლელობა ნიკო კვარაცხელიას მკვლელობას დაუკავშირეს



ბაგებში 24 ივნისს საღამოს ბიზნესმენი ლევან კაჭარავა მოკლეს, რომელსაც „ტილიკას" მეტსახელით იცნობდნენ.

მას 20-მდე ტყვია ესროლეს. ჩასაფრება, სავარაუდოდ, დაქირავებულმა ქილერმა მოუწყო.

მოგვიანებით, ლევან კაჭარავას მკვლელობის შესახებ ახალი ვერსია გახდა ცნობილი. არსებული ინფორმაციით, ბიზნესმენ ლევან კაჭარავას მკვლელობა, შესაძლოა, თბილისში რამდენიმე თვის წინ მოკლული ნიკო კვარაცხელიას საქმეს უკავშირდებოდეს.

კერძოდ, როგორც ამბები საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს, კვარაცხელიას საქმეზე მსჯავრდებულები მკვლელობის შემდეგ სომხეთში გადასვლისას, სავარაუდოდ, სწორედ ლევან კაჭარავამ („ტილიკამ") დააფინანსა.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, ლევან კაჭარავა რამდენიმე დღეა, რაც საფრანგეთიდან ჩამოვიდა (მამის ორმოცზე) და ბოლო დროს დაცვის გარეშე არ გადაადგილდებოდა.

– როგორც ჩანს, გია კვარაცხელია მოქმედებაზე გადავიდა. ცნობილია, რომ „ტილიკა" ძმებ კაკულიებთან ახლობლობდა. გია კვარაცხელიას სამიზნე ძმები არიან, მათ ციხეში ვერ მისწვდა, სამაგიეროდ, მისი შურისძიება კაკულიებთან დაახლოებული პირით დაიწყო. როგორც ამბობენ, სომხეთში გადასული მკვლელობის შემსრულებელი ბიჭები (აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე) კაჭარავამ დააფინანსა. კვარაცხელია, სავარაუდოდ, არც გაჩერდებოდა და შესაძლოა შურისძიების მსხვერპლთა რიცხვიც გაიზარდოს, – აცხადებს ამბებთან საუბრისას წყარო.

ლევან კაჭარავას დედა ვარაუდობს, რომ მისი შვილი დაქირავებულმა ქილერმა მოკლა, დანაშაული კი საზღვარგარეთ დაიგეგმა.

როგორც ბიზნესმენის დედა ამბობს, ლევან კაჭარავას მტერი არ ჰყოლია. ის ვარაუდობს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა საქართველო უკვე დატოვა.

– მე გეუბნებით, რომ ეს საქართველოს ამბავი არ არის. სამსახურებრივი ნამდვილად არ არის. ვინმე რომ დავადანაშაულო, თქვენ მოგეწონებათ? მე შემიძლია გითხრათ, როგორც თვითონ ექიმმა, ეს არის დაქირავებული ქილერი, ის უკვე საქართველოში ალბათ არ არის, – განაცხადა მხეიძემ.

კითხვაზე, თუ სად იმყოფებოდა კაჭარავას მძღოლი და რატომ გადაადგილდებოდა ის სხვა პირთან ერთად მანქანით, ლევან კაჭარავას დედა ასე პასუხობს:

– ცოლი გასვენებაში იყო წასული და მასთან სხვა იყო. თანამშრომელიაო, ასე მითხრეს. მისი მძღოლი კახა არ იყო საჭესთან და სწორედ ამაშია საქმე, კახა არის ორგანოს ყოფილი მუშაკი. ვინ იყო გუშინ, არ ვიცი, თანამშრომელიაო. ის დაკითხვაზე იყო. სად მოხვდა ტყვია, თავში, კისერში თუ სად, არ ვიცი. ლევანს სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია. საქართველოში მას მტერი რომ არ ჰყავდა, ეს შემიძლია გითხრათ 100%-ით, – განაცხადა მხეიძემ.

ნიკო კვარაცხელიას დედა იზა ომაძე ლევან კაჭარავას მკვლელობაზე გავრცელებულ ერთ-ერთ ვერსიას, რომ ბიზნესმენის მკვლელობა კვარაცხელიას მამამ დაუკვეთა, სიცრუეს უწოდებს.

კვარაცხელიას დედის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ვუსამძიმრებთ გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახს. ჩვენ ნაცნობობაც კი არ გვქონია ამ ოჯახთან, საშინელი ფაქტი მოხდა და წარმოუდგენელია, ასე სწრაფად ვის ჰქონდა გამომცხვარი ვერსია? მე არაერთხელ გავაჟღერე ჩემს განცხადებებში, რომ ნიკოს მკვლელობის სცენარი რაღაც დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, გადანაწილებული როლებით, რეჟისორს ალბათ ჯერაც არ დაუსრულებია საკუთარი პიესა და, სამწუხაროა, რომ ისევ დააყენა ასეთი მძაფრი სიუჟეტი.

ჩვენს ოჯახს აქვს უამრავი შეკითხვა, რომელსაც აგერ უკვე ცხრა თვის განმავლობაში არ გაეცა პასუხი და დღესაც ველით სიმართლის დადგენას. შვილის გლოვის საშუალებას არ გვაძლევენ, მაშინ როცა, მკვლელების და მათი თანამზრახველების საქმე დღესაც არ არის ბოლომდე მიყვანილი, არ დარქმევია ყველაფერს მისი სახელი, ძალიან გთხოვთ ჟურნალისტებს, უსაფუძვლო ინფორმაციის გავრცელებისაგან თავი შეიკავოთ, არანაირი წყარო, რომელიც მედიას მსგავს ინფორმაციას მიაწვდიდა, არ არსებობს, რომ არა „სეთურის" ინსტიტუტი.

უფალმა ინებოს, რომ ეს მკვლელობის საქმე არ დარჩეს გამოუძიებელი. ნიკოს ოჯახი არასოდეს იქნება შურისმაძიებელი, ეს საზოგადოებამ კარგად იცის, ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში, ისევ საბჭოთა მეთოდები მუშაობს – დღეს არც ვიცი რა ჰქვია ამ ინსტიტუტს" – წერს ნიკო კვარაცხელიას დედა სოციალურ ქსელში.

ოჯახის წევრებს არ აქვთ ვერსია, თუ რას უკავშირდება ბიზნესმენის მკვლელობა. კაჭარავას დეიდაშვილის, სალომე კობალაძის თქმით, ბიზნესმენს წარსულში პრობლემა არ ჰქონია.

– ოჯახს ამ წუთას არანაირი კონკრეტული ვერსია არ აქვს. გუშინდელი ამბის მერე, ისეთი თავზარდაცემულები ვართ, ვერც ვფიქრობთ, ვის შეიძლება ასეთი ორგანიზებული დანაშაული ჩაედინა, ვერ ვფიქრობთ, არ ჰყავს კონკრეტული მტერი. ვიცი, რომ იყო საქმიან შეხვედრაზე. ნამდვილად არ უთვალთვალებენ, არც პრობლემა ჰქონია, არასოდეს დადიოდა დაცვით, – თქვა მოკლულის დეიდაშვილმა.

ბიზნესმენი ლევან კაჭარავა ბაგებში, წყნეთის გზაზე საკუთარ ავტომობილში ჩაცხრილეს. არსებული ინფორმაციით, ის ავტომანქანით მძღოლთან ერთად სახლის მიმართულებით მიდიოდა, როდესაც მას ცეცხლი გაუხსნეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლებით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარება) მიმდინარეობს.

რაც შეეხება ნიკო კვარაცხელიას საქმეს, 22 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები – აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო. ძმებ კაკულიებს კი არაყიშვილის ქუჩაზე სერგი ქურთიაშვილის ჯგუფურად მკვლელობის მცდელობას, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, ასევე, საზღვრის უკანონო კვეთას ედავებიან.

გამოძიება ასევე ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება ძმები კაკულიების მიერ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებთან, მათ შორის, ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმესთან შესაძლო შემხებლობასთან დაკავშირებით. საგამოძიებო უწყების ცნობით, ბრალდებულებმა დანაშაული სომხეთშიც ჩაიდინეს.

ბიზნესმენი ლევან კაჭარავა 53 წლის გახლდათ. მან წლების წინ, გიორგი რამიშვილთან ერთად დააფუძნა სილკ როუდ გრუპი, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო. გარდა ამისა, კაჭარავას სახელი უკავშირდება ნიდერლანდებში დაფუძნებულ კომპანია „მულტიპლექსს", რომელიც, თავის მხრივ, არაერთ ბიზნესს ფლობს.

ლევან კაჭარავა საქართველოში ფლობს თანამედროვე ტიპის ფიტნეს ქსელს და ასევე, მისი კომპანიები მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროექტებში.

## ელენე ხოშტარია არასამთავრობო ორგანიზაციებს მისი ოჯახის ანგარიშების შესწავლისკენ მოუწოდებს

„დროას" ლიდერი ელენე ხოშტარია არასამთავრობო ორგანიზაციებს მისი ოჯახის ანგარიშების შესწავლისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ ხოშტარიამ ბრიფინგზე განაცხადა და აღნიშნა, რომ მისი ოჯახის დოკუმენტები, მათ შორის მემკვიდრეობის ფაქტი და თანხები საჯაროა.

– ყველაფერი არის აბსოლუტურად საჯარო, ღია, როგორც მემკვიდრეობის ფაქტი, ასევე, ამ მემკვიდრეობით მიღებული თანხები.

იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლების ნულოვანი ნდობა მაქვს, მოვუწოდებ აბსოლუტურად ყველას, და უკვე მაქვს ნეიტრალურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, ყველა დოკუმენტი, ჩემი ოჯახის, ასევე ანგარიშები, ყველაფერი შეისწავლონ და გაასაჯაროვონ, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „დროას" დამფუძნებლის, ელენე ხოშტარიას ოჯახის წევრის ანგარიშზე რუსეთიდან, პერიოდულად, მილიონობით რუსული რუბლი ირიცხება.

ამ საკითხზე ხოშტარიას მამამ, გოგი ხოშტარიამ განმარტება გააკეთა.

– ბიძაჩემი, სოლომონ (სოლიკო) ვირსალაძე იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სცენოგრაფი, ანუ არა უბრალოდ მხატვარ-გამფორმებელი, არამედ დამდგმელი სპექტაკლებში. მე ვარ მეორე რიგის მემკვიდრე, ჩემს დეიდაშვილთან ერთად. ბიძაჩემს შვილი არ ჰყოლია, ორი და ჰყავდა. ჩვენ ვართ მეორე რიგის მემკვიდრეები, ჩვენზე იყოფა თანაბრად, – განაცხადა გოგი ხოშტარიამ.

## საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა პრეზიდენტის წინააღმდეგ მთავრობის სარჩელი განსახილველად მიიღო

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ" განსახილველად მიიღო.

სარჩელში სადავოდ არის გამხდარი საქართველოს ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელების დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის უმოქმედობის კონსტიტუციასთან შესაბამისობა.

კერძოდ, 2022 წლის მარტში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტს დასანიშნად შესთავაზა დავით ბაქრაძე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენლის, ხოლო კახა იმნაძე კანადაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობებზე.

ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტს მიმართა წარდგინებით, კახა იმნაძის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

პრეზიდენტმა ხსენებული წარდგინებების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა და განმარტა, რომ არსებულ ვითარებაში, მიზანშეწონილად არ მიაჩნდა შესაბამის თანამდებობებზე მითითებული კანდიდატურების დანიშვნა.

მთავრობის პოზიციით, საქართველოს პრეზიდენტი წარდგინებების უარყოფითა და უმოქმედობით, რაც გამოიხატა წარდგენილი კანდიდატების არდანიშვნაში, პირდაპირ შეიჭრა საქართველოს მთავრობის ექსკლუზიურ კონსტიტუციურ უფლებამოსილებაში, განახორციელოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

„საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დასაბუთებული წინადადება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების თანამდებობაზე საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე უარის თქმის კონსტიტუციურობის შეფასება მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებების ფარგლების განმარტებას" – ნათქვამია განცხადებაში.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკისა და საგარეო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებების ფარგლების განსაზღვრამ, შესაძლოა, წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა.

შეგახსენებთ, მთავრობამ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით 6 ივნისს მიმართა.

## ფონიჭალაში ერთმანეთს 4 ავტომობილი შეეჯახა

### 3 ადამიანი დაშავდა

ფონიჭალაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს 4 ავტომობილი შეეჯახა. დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილები. ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ.

## თბილისში 3 ადამიანი დაჭრეს




თბილისში 24 ივნისის ღამით სამი ადამიანი დაჭრეს. შემთხვევა ისანში, ე.წ. ზეემკას დასახლებაში მოხდა.

ერთმანეთს მეზობლები დაუპირისპირდნენ. ისინი ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ.

3 ადამიანი ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობებით ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მეზობლების ინფორმაციით, ერთ-ერთ მათგანს წუხელ სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა და მისი მდგომარეობა შედარებით მძიმეა.

– უწმაწურ სიტყვებს ამბობდნენ და ჩვენ ბიჭებს უთქვამთ, ქალებთან ერთად იყვნენ და ნუ იგინებით, დაწყნარდითო. ამის გამო წავიდნენ და ჩამოვიდნენ დანებით სახლიდან. ცოლებს ბრიტვები ეჭირათო და ბიჭები დანებით იყვნენო. სამი ბიჭია დაჭრილი. ერთი არის უფრო მეტად, იმას ბევრი ჭრილობა აქვს, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

გამოძიება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით მიმდინარეობს.

## ტვ პირველის ჟურნალისტ ნანუკა ქაჯაიას და ოპერატორს დოლიძეზე თავს დაესხნენ



„ფორმულას" ჟურნალისტის, თიკო ერაძის ინფორმაციით, თბილისში, დოლიძის ქუჩაზე თავს დაესხნენ „ტვ პირველის" ჟურნალისტს, ნანუკა ქაჯაიას და ოპერატორს:

„ამ წამს, დოლიძეზე, ნარკომანი, დამპალი სირების ბრბო თავს დაესხა, ჩემ თვალწინ ნანუკა ქაჯაიას და მის ოპერატორს, გინებით, ხელების ქნევით, ჯაჯგურით, შემთხვევით შევესწარი. საერთოდ სხვა რესპონდენტის ჩასაწერად მოსულებს. მხოლოდ იმიტომ, რომ ტვ პირველის მიკროფონი ეჭირა ხელში. მამუკა მდინარაძე /მამუკა მდინარაძე აი ეს ხართ, ეს არის თქვენი სახე, ყველაფერზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი. ეს ღორები არიან თქვენი ნამდვილი სახე" – წერს თიკო ერაძე ფეისბუქში.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ტვ პირველის გადამღებ ჯგუფზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, სსკ-ის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

„სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა „ტვ პირველი"-ს თანამშრომლებისთვის – ჟურნალისტ ნანუკა ქაჯაიასა და მისი ოპერატორისთვის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით გამოძიება დაიწყო.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, შემჭიდროებულ ვადებში ჩაატარებს" – აცხადებს უწყება.

## ბათუმში მოპედი 8 წლის ბავშვს დაეჯახა

ბათუმში 8 წლის ბავშვს გორგილაძის ქუჩაზე მოპედი დაეჯახა.

სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ინფორმაციით, ბავშვი თავის ზედაპირული ტრავმით გადაიყვანეს ბათუმის იაშვილის სახელობის კლინიკაში. „ბათუმელები" იაშვილის კლინიკას დაუკავშირდა, თუმცა აქ არ აზუსტებენ ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის" 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

## მძიმე ავარია კახეთში

### 9 ტურისტი დაშავდა

11 ადამიანი დაშავდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად კახეთში.

შემთხვევა ბაკურციხე-თბილისის დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე 26 ივნისს მოხდა. ერთმანეთს სამარშრუტო ტაქსი და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

დაშავებულებს შორის 9 უცხოელი ტურისტი, 1 მძღოლი და 1 გიდია. თერთმეტივე პირი გურჯაანის ჯეოჰოსპიტალსის კლინიკაშია გადაყვანილი.

ექიმების განმარტებით, მოქალაქეებს დაზიანებები თავისა და მუცლის არეში აქვთ მიღებული.

სპეციალისტების ინფორმაციით, შედარებით მძიმეა ორი ტურისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

# ამერიკის კონგრესი აპირებს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ქმედება გენოციდად შეაფასოს



ამერიკელი კონგრესმენების ორპარტიულმა ჯგუფმა წარმოადგინა რეზოლუცია, რომელიც რუსეთის ქმედებას უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის დროს ახასიათებს როგორც გენოციდს.

რეზოლუციაში უკრაინის ტერიტორიაზე რუსი ჯარისკაცების მხეცობაზეა საუბარი: მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა, სამშობიარო სახლებსა და სამედიცინო დაწესებულებებზე მიტანილი პირდაპირი იერიშები და ასევე, იძულებითი დეპორტაცია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიასა და დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

რეზოლუციის თანახმად, ეს მოქმედებები შეესაბამება გენოციდის კრიტერიუმებს.

ცნობისთვის, მაისის ბოლოსთვის რუსეთის ქმედებები უკრაინის წინააღმდეგ გენოციდად 6-მა ქვეყანამ აღიარა, მათ შორის ესტონეთი, ლატვია, კანადა, პოლონეთი, ლიეტუვა და ჩეხეთია, ივნისის დასაწყისში კი მათ ირლანდია შეუერთდა.

# უკრაინა ნატოზე დროებით უარს ამბობს



უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილის იგორ ჟოვკვას განცხადებით, უკრაინა დროებით უარს ამბობს ნატოში გაწევრიანებისთვის გადასადგმელ ნაბიჯებზე. ამის შესახებ მან ფაინენშლ ტაიმსისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ჟოვკვას განცხადებით, მოკლევადიან პერსპექტივაში ნატოში წევრობა შეუძლებელია.

– ნატოს წევრებმა უარყვეს ჩვენი მისწრაფებები. არაფერ სხვას ამ მიმართულებით აღარ გავაკეთებთ, – განაცხადა ჟოვკვამ.

მისივე განმარტებით, უკრაინა ელის, რომ ნატოს მადრიდის სამიტზე მისაღებ სტრატეგიულ კონცეფციაში რუსეთის, როგორც პარტნიორის, ნებისმიერი ხსენება წაიშლება.

– საკმარისი არ არის მხოლოდ სიტყვა „პარტნიორის“ წაშლა. ჩვენ ველით, რომ ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში იქნება ბევრად მკაცრი გაფრთხილება რუსი აგრესორის მისამართით. ნუ მოგერიდებათ რუსეთთან მიმართებით მდგომარეობის ფორმულირებისას, განაცხადა ჟოვკვამ.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ უკრაინაში ომი აღწერილ იქნას დოკუმენტში.

– თუ ნატოელები არ გაასაჯაროვებენ რეალურ ვითარებას იმის შესახებ, რაც ხდება ევროპაში, უკრაინაში, მაშინ ეს დოკუმენტი იქნება სხვა დოკუმენტი, აბსოლუტურად არააქტუალური, – განაცხადა ჟოვკვამ.

# სროლა ოსლოში



ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, ერთ-ერთ ბარში სროლის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, 8 ადამიანი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დასავლურ მედიაში ვრცელდება.

მედიის ცნობით, ადგილობრივი დროით 01:14 საათზე, პოლიციაში სროლის შესახებ არაერთი ზარი შევიდა. პოლიციამ განაცხადა, რომ მათ ეჭვმიტანილი მამაკაცი ადგილზე მისვლიდან 3 წუთში დააკავეს.

ამასთან, საავადმყოფოში მყოფი 8 ადამიანიდან სამის მდგომარეობა კრიტიკულია.

# მორავეცკი: „ევროპის საბჭომ უკრაინას 9 მილიარდი ევრო დაუმტკიცა“



პოლონეთის პრემიერ-მინისტრ მატეუშ მორავეცკის ინფორმაციით, ევროპულმა საბჭომ სამიტზე, უკრაინისთვის 9 მილიარდი ევროს ოდენობის მაკროფინანსური დახმარება დაამტკიცა.

ამის შესახებ ინფორმაცია უკრაინულ მედიაში ვრცელდება.

მორავეცკის თქმით, უკრაინის დასახმარებელ დოკუმენტში ასევე მოცემულია დებულებები, რომლებიც უკრაინის სამხედრო დახმარებასაც მოიცავს.

– რა ძნელია, როდესაც მტრის ამხელა ძალასთან იბრძვი. ამიტომაა, რომ პოლონეთი, ისევე, როგორც შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უკრაინას იარაღის მოპოვებაში დაეხმარონ, – განაცხადა მორავეცკიმ.

ამასთან, მორავეცკიმ ევროკომისიას მადლობა იმ პოზიტიური როლისთვის გადაუხადა, რომელმაც ევროკავშირის ლიდერები უკრაინისთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაში დაარწმუნა.

მორავეცკიმ დასძინა, რომ თუ ევროკავშირი უნდა იყოს სტრატეგიულად ძლიერი და მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოთამაშე, მან უნდა უზრუნველყოს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს გაწევრიანება მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი დემოკრატიულ ტრანსფორმაციას გაივლის.

# იტალიაში უთავო გვამი იპოვეს

## ის ციცაბო დაღმართის შუა გზაზე აღმოაჩინეს გარდაცვლილი




იტალიაში, ფორლის აპენინებში უთავო გვამი იპოვეს.

ეს არის 55 წლის ფერმერის, ფრანკო სევერის ცხედარი, რომელიც ცხოვრობდა იმ ადგილიდან არც თუ ისე შორს, სადაც მისი გვამი იპოვეს. ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს.

ადგილზე ვერ მიაგნეს ვერც სასოფლო-სამეურნეო მანქანას. პირველადი ინფორმაციით, კაცი 24-48 საათის წინ გარდაიცვალა, ამ დროისთვის კი დანიშნულია ექსპერტიზა. იგი 21:30 საათზე ნაცნობს უნდა შეხვედროდა, თუმცა იქ არ მისულა და ზარებსაც აღარ პასუხობდა.

ამის შემდეგ მეგობარმა მას სახლთან მიაკითხა და ხმამაღლა ეძახდა. მოგვიანებით კი ციცაბო დაღმართის შუა გზაზე აღმოაჩინა გარდაცვლილი.

ადგილზე სასწრაფო დახმარების ჯგუფის გარდა, მივიდნენ კარაბინერები და მეხანძრეები. როგორც გამოცემა წერს, სევერის ცხედარი შესაძლოა კლდეზე გადააგდეს. მისი გარდაცვალების შემდეგ მოსაზრებას ამყარებს ის, რომ გვამს სისხლის კვალი არსად ჰქონდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# მაიმუნის და ადამიანების დაპირისპირებას ახალშობილი შეეწირა



ტანზანიის კიგომას ოლქის სოფელში მაიმუნის მიერ გატაცებული ერთი თვის ჩვილი გამტაცებელთან ადამიანების დაპირისპირებას ემსხვერპლა.

თავდასხმა შაბათ დღეს მოხდა, როდესაც შაიმა საიდი სახლის წინ იჯდა და ბავშვს ლუხაიბა საიდს ძუძუს აჭმევდა. რაღაც მომენტში ეზოში მაიმუნების ჯოგი შეიჭრა. ერთ-ერთი მაიმუნი ახალშობილით დაინტერესდა. მან ქალთან მიირბინა და ბავშვი ხელიდან გამოსტაცა.

დედამ საშველად თანასოფლელებს უხმო. მის დაძახილზე მეზობლებმა მიირბინეს და შეეცადნენ ცხოველისთვის ბავშვი წაერთმიათ. სოფლელებსა და მაიმუნს შორის ორთაბრძოლა გაჩაღდა, რომლის დროსაც ჩვილმა თავის და კისრის არეში დაზიანებები მიიღო. როგორც კი ბავშვის მაიმუნისთვის წართმევა მოხერხდა, ის მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს. ბავშვი დაიღუპა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ილიას ზუროსს ევროპის ჩემპიონატზე მედალი სურს




საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისთვის ემზადება. ილიას ზუროსის გაწვრთნილი ჩვენი გუნდი 1 ივლისს რიგაში, უკრაინას დაუპირისპირდება, ხოლო 4 ივლისს თბილისში, ევროპის ჩემპიონატისთვის აშენებულ არენაზე ესპანეთს უმასპინძლებს.

საქართველოს ესპანეთთან ერთად უკვე გარანტირებული აქვს ჯგუფის სამეულში მოხვედრა და, შესაბამისად, შემდეგ ეტაპზე თამაში, მაგრამ აღნიშნულ მატჩებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უკრაინასთან და ესპანეთთან დარიცხული ქულები საქართველოს მეორე ჯგუფურ ეტაპზე მიჰყვება.

საქართველოს ნაკრებში თავდაპირველად 22 კალათბურთელი იყო გამოძახებული. ნაკრები 17 ივნისიდან სპორტის სასახლეში ვარჯიშობდა. ტრავმების გამო გაფართოებულ შემადგენლობას მალევე გამოაკლდნენ დებიუტანტები – ოთარ ბულიავა და გუგა ნაცვლიშვილი, ხოლო გიორგი ტურძილაძემ ნაკრები პირადი მოტივით მიატოვა. ერთკვირიანი ვარჯიშების შემდეგ, მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, შეკრება ნიკოლოზ მეცხვარიშვილმა და დავით კაკუშაძემაც დატოვეს.

ნაკრებს პერიოდულად შემოუერთდნენ გიორგი შერმადინი, ბექა ბურჯანაძე, რატი ანდრონიკაშვილი, თად მაკფადენი, თორნიკე შენგელია. დღეს გუნდთან ერთად იქნება გოგა ბითაძეც.

ერთადერთი კალათბურთელი, რომელიც მწვრთნელების მონახაზშია და ნაკრებს მომავალ 2 მატჩში ვერ დაეხმარება, სანდრო მამუკელაშვილია, რომელსაც თავის კლუბ მილუოკი ბაქსთან ნბა-ს საზაფხულო ლიგაში თამაშის ვალდებულება აქვს.

მსოფლიოს საკვალიფიკაციო მატჩებს დამატებით ის დატვირთვაც გააჩნია, რომ მომავალი ევრობასკეტისთვის მოსამზადებელი გეგმის ნაწილად განიხილება. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ აღნიშნული გეგმა მწვრთნელთა შტაბთან შეთანხმებით, სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებთან მოლაპარაკებების შემდეგ შეადგინა.

მის ფარგლებში ილიას ზუროსის გუნდი საწვრთნელ შეკრებებს გაივლის როგორც თბილისში, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში – სლოვენიაში, უნგრეთში, საბერძნეთში. საქართველოს ნაკრები მოსამზადებელ პერიოდში 4 ოფიციალურ და 7 ამხანაგურ მატჩს გამართავს, რის შემდეგაც, 1 სექტემბერს, თბილისში ევრობასკეტ 2022 დაიწყება.

ეროვნული ნაკრების მომავალ მატჩებსა და გეგმებთან დაკავშირებით სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი, კალათბურთელი გიორგი შერმადინი, ნაკრების გენერალური მენეჯერი პაატა ლობჟანიძე და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა დაესწრნენ.

ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ და კალათბურთელმა დეტალურად ისაუბრეს მომავალ მატჩებზე, ჩვენი ნაკრების პერსპექტივებზე და ამომწურავად უპასუხეს გულშემატკივართა კითხვებს.

**პაატა ლობჟანიძე:**

– ამ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატის 4 მატჩი გვაქვს. ამ შეხვედრებს ვერავითარ შემთხვევაში განვიხილავდით მოსამზადებელ ეტაპად, რადგან ჩვენს ნაკრებს აქვს კარგი შანსი პირველად ითამაშოს მსოფლიო ჩემპიონატზე.

ნბა-ს წესების მიხედვით, არის გარკვეული დღეები, როცა გოგას ვარჯიში და თამაში არ შეუძლია. ხალხი ფიქრობს, რომ ყველაფერი მარტივადაა, ფედერაცია მართლა ბევრს მუშაობდა გოგას საკითხზე და ყველაფერი მოგვარდა.

**ვლადიმერ ბოისა:**

– 7 ამხანაგური მატჩი გველის. 5 მატჩი იქნება ღია, ხოლო 2 შეხვედრა დახურული. ასევე გეტყვით, რომ კომპანია ნაიკმა სპეციალურად ჩვენთვის მაისურები დაამზადა, რომლის პრეზენტაციაც ევრობასკეტის წინ შედგება.

**გიორგი შერმადინი:**

– რამდენიმე დღეა, ვვარჯიშობთ, ხვალ უკვე ყველა ადგილზე იქნება. ძალიან მნიშვნელოვანი მატჩებია უკრაინასთან და ესპანეთთან. იმედი მაქვს, რომ ყველა ჯანმრთელი იქნება, რის შემდეგაც უნდა ვიფიქროთ 24 და 27 აგვისტოს შეხვედრებზე.

ესპანეთის ნაკრებში დიდი ცვლილებები არ არის. მაშინ თორნიკე არ გვყავდა ესპანეთთან, ახლა თოკოც და გოგაც გვყავს. დარწმუნებული ვარ, რომ ესპანელები ახლა ძალიან ნერვიულობენ. იმედი მაქვს, რომ ქომაგი დარბაზს გაავსებს და ამ გამარჯვებას ერთად ვიზეიმებთ.

ფრან გერა და სასტრე ის კალათბურთელები არიან, რომლებთან ერთადაც ტენერიფეში ვთამაშობ. მათ საქართველო ძალიან აინტერესებთ. ვუთხარი, რომ სასტუმროში ყოველდღე ხაჭაპური ექნებათ და გაუხარდათ.

**ილიას ზუროსი:**

– უპირველეს ყოვლისა, მადლობა, რომ აქ ხართ. გვიხარია, რომ ევროპის ჩემპიონატს ვმასპინძლობთ. ყველანაირად მზად უნდა ვიყოთ, რომ ქართველი ქომაგის წინაშე ღირსეულად წარვდგეთ. დიდი მადლობა ფედერაციას, რადგან ისინი ძალიან ბევრს მუშაობენ. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატი ღირსეულად ჩატარდეს.

მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადება დავიწყეთ. ერთადერთი, ბითაძე 27 ივნისამდე სრული დატვირთვით ვარჯიშს ვერ ჩაატარებს. ტურძელაძემ შეკრება თავისი ნებით დატოვა. ამერიკაში მოთამაშე ახალგაზრდა კალათბურთელებმა ბოლომდე მოინდომეს, პერსპექტიული ბიჭები არიან და მათით კმაყოფილი ვარ.

ცხადია, აკროპოლისის თასის მოგება კარგია, მაგრამ მზად ვართ ყველა მატჩის წასაგებად, ოღონდ ევრობასკეტზე მედალი მოვიგოთ. აკროპოლისის თასი კარგია მოსამზადებლად, მაგრამ ყველაზე მთავარი ოფიციალური შეხვედრებია.

ტაქტიკაზე მატჩამდე ვერ ვისაუბრებ, ყველას შეუძლია მატჩზე დაკვირვება. მე ვენდობი ჩემს მოთამაშეებს. ჩვენ გვყავს გოგა, რატი და ისინი დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდნენ. მადლობა უკრაინელთა მწვრთნელს კარგი სიტყვებისთვის, უკრაინა ძლიერი გუნდია და ჩვენც პატივს ვცემთ.

მართალია, გოგა ბითაძეს გუნდთან დიდი დრო არ გაუტარებია, მაგრამ შემდეგ მატჩებში დაგვეხმარება და უკრაინასთანაც ითამაშებს. ჩვენი მიზანი ისაა, რომ ახალგაზრდა კალათბურთელები მაქსიმალურად ჩავრთოთ გუნდში.

ჩერნოგორია ძალიან ძლიერი გუნდია, კარგი კალათბურთელებით. ახალი ამერიკელი ჰყავთ. ევრობასკეტზე სუსტი გუნდი არ არსებობს. არც ერთი გუნდი აუტსაიდერი არაა, ყველა გუნდთან მოსაგებად უნდა იბრძოლო.

7 წელია ნაკრებში ვარ და 37 წელია – კალათბურთში. ძალიან ბევრი მოთამაშე გამოვცადე. ლუკა ბულაშვილის შემთხვევაში არის ის პასუხი, რომ ამჟამად არ აკმაყოფილებს ნაკრების მოთხოვნებს. ლუკა არაერთხელ იყო გამოძახებული და ამხანაგური მატჩებიც ითამაშა, მაგრამ ამჯერად არაა მზად და არ გამოვიძახეთ.

**საქართველოს ნაკრები საზაფხულო გეგმა ასეთია:**

1 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრას ჩაატარებს უკრაინის ნაკრებთან, 2 ივლისს გუნდი თბილისში დაბრუნდება, 4-ში კი ახალ სპორტის სასახლეში მსოფლიოს შესარჩევში ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

შემდეგ გუნდი დაისვენებს. 18 ივლისს კი მზადებას განაახლებს.

25 ივლისიდან ზუროსის შეგირდები სლოვენიაში გაემგზავრებიან და 4 აგვისტომდე იქ ივარჯიშებენ, 5-6 აგვისტოს კი უნგრეთს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

11 და 13 აგვისტოს ზუროსის გუნდი თბილისში 2 ამხანაგურ მატჩს ისრაელის ნაკრებთან ჩაატარებს.

15 აგვისტოდან ეროვნული გუნდი საბერძნეთში გადაინაცვლებს და „აკროპოლისის თასზე“ ითამაშებს. ჩვენების მეტოქეები საბერძნეთი, თურქეთი და პოლონეთი იქნებიან.

20 აგვისტოს ნაკრები დედაქალაქში დაბრუნდება და მოემზადება მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 ჯგუფური ეტაპის მატჩებისთვის (მეტოქეები მოგვიანებით გაირკვევა, თამაშები კი 24 აგვისტოს თბილისში და 27-ში სტუმრად იქნება).

28 აგვისტოდან საქართველოს ნაკრები ისევ დედაქალაქში დაბანაკდება და უკვე ევრობასკეტისთვის დაიწყებს მზადებას.

ევრობასკეტი 1 სექტემბერს იწყება და ჩვენი გუნდი ბელგიას ეთამაშება; 3 სექტემბერს – ესპანეთს; 4 სექტემბერს – თურქეთს; 6 სექტემბერს ბულგარეთს; 7 სექტემბერს ჩერნოგორიას.

ამასობაში, უკრაინელებმა 2 საკონტროლო მატჩის გამართვა მოასწრეს. ჩვენმა მომავალმა მეტოქემ მოგება და წაგება გაცვალა.

აინარს ბაგაცკისის გუნდმა სლოვაკებს 75:61 მოუგო, ხოლო პორტუგალიასთან 76:77 წააგეს.

**აინარს ბაგაცკისი:**

– ეს მოსალოდნელი იყო. კალათბურთელები სხვადასხვა კონდიციებში არიან. ეს მატჩები უფრო ემოციებზე ვითამაშეთ, ვიდრე – ცივი გონებით. ბევრი წამყვანი კალათბურთელი გვაკლია და შეცდომებიც ამით იყო განპირობებული. გადამწყვეტ მომენტებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება უნდა ვისწავლოთ.

მეტოქე გუნდში ცვლილებებიც არის: უახლოეს შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს ტორონტო რეპტორსის ლეგიონერი სვიატოსლავ მიხაილიუკი, რომელიც უკვე ლატვიისკენ მიმავალ გზაზეა.

როგორც უკრაინის კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდი წერს, ნბა-მ ეროვნულ გუნდში თამაშის უფლება 2-ვე უკრაინელ კალათბურთელს (მიხაილიუკი და ალექსეი ლენი) მისცა და თანახმაა, მოთამაშეთა დაზღვევის თანხაც თავად დაფაროს.

სხვაობა ისაა, რომ ლენი ივლისის მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, მაგრამ უკრაინის ნაკრებთან ერთად იქნება აგვისტოს საკვალიფიკაციო თამაშებისა და მოახლოებული ევრობასკეტის დროს.

უკრაინელები 1 ივლისს საქართველოს რიგაში დაუხვდებიან, 4-ში, სკოპიეში, ჩრდილოეთ მაკედონიას ესტუმრებიან, 7-ში კი ისევ ლატვიაში ესპანეთს ეთამაშებიან.

ჯგუფს ოთხიდან სამი მოგებით საქართველო ლიდერობს, ესპანეთს სამიდან სამი გამარჯვება აქვს, მესამე ადგილზე ერთი მოგებითა და ორი წაგებით უკრაინაა, ჯგუფს კი, მოუგებელი და ოთხი წაგები მქონე ჩრდილოეთ მაკედონია ხურავს. მნიშვნელოვანი მატებაა.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ექვსი ერის სერია მარცხით დაიწყეს



ექვსი ერის 20-წლამდელთა ზაფხულის სერიების პირველ მატჩში უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ იტალიას სამი ლელო კი გაუტანეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და მეტოქემ 36:19 იმარჯვა.

2022 წლის ექვს ერზე იტალიელებს ორივე მომავალი მეტოქე დამარცხებული ყავთ – შოტლანდია 27:13 და უელსი 27:20. გარდა ამისა, მათ წელს პირველად მოუგეს ინგლისს (6:0) და ზაფხულის სერიების ბ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის მთავარი კანდიდატები არიან.

ლადო კილასონიას გუნდმა საწყის წუთებში შეძლო უპირატესობის მოპოვება და თითქოს მასპინძელთა ფავორიტობა ეჭვქვეშ დააყენეს, მაგრამ მერე მეტოქემ ბურთზე კონტროლის დამყარება შეძლო და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა. ქართველმა მორაგბეებმა ბოლომდე იბრძოლეს, დაცვაშიც და შეტევაშიც რამდენიმე დასამახსოვრებელი მომენტი შექმნეს, მაგრამ შეცდომებიც დაუშვეს და ამით იტალიელებმა ისარგებლეს.

თამაში დაიწყო თუ არა, აგრესიული დაცვით მეტოქე წნეხში მოვაქციეთ, მერე მათი შერკინებიდან მოპოვებული ბურთი ხაზზე გაიშალა, მცველებმა შალვა აფციაურის შეჩერება მოახერხეს, თუმცა ნიკა სუთიძის მიძალება იმდენად მძლავრი იყო, მისი შეკავება 2-მა მბოჭავმაც ვერ შეძლო. გარდასახვა ძელს მოხვდა.

მასპინძლებმა ჯარიმით სწრაფადვე გვიპასუხეს, რასაც ჩვენი შეცდომები მოყვა და რამდენჯერმე დიდი თავგანწირვის ხარჯზე მოვიგერიეთ მეტოქის სწრაფი შეტევები, თუმცა მე-15 წუთზე მეტობა მაინც გაგვითამაშეს – 5:8.

საქართველომ უპირატესობა თამაშის განახლებისთანავე დაიბრუნა, მეტოქეს ბურთი მისსავე 22-ში აართვა და ხაზზე სწრაფად გაიტანა, აფციაურმა შეუტია, პაატა გალდავას ოფლოუდი ამოუგდო და ლელო პეტრე ხუციშვილმა გარდასახა. იტალიელებმა ჩვენი შეცდომით კიდევ ერთხელ ისარგებლეს, შერკინებაში ბურთი მოიპოვეს და რამდენიმე ფაზის შემდეგ ლელო-გარდასახვა მიითვალეს. ხუციშვილს ტაიმის შუაში 2-ჯერ შეეძლო წონასწორობის აღდგენა, მაგრამ 40 მეტრიდან ბურთი ისევ ძელს გაარტყა, მალევე კი, მიზანმა 25 მეტრიდან უმტყუნა.

ამას ფეხით თამაში მოყვა, რის შემდეგაც შეცდომები დავუშვით და ლელოს კვლავ თავგანწირული დაცვით გადავურჩით, მაგრამ ცოტა ხნით, რადგან იტალიამ 5-მეტრიანი მოლის შემდეგ 5 ქულა აიღო და გარდასახვის გამოყენების შემდეგ, ტაიმი 10 ქულის სხვაობით მოიგო – 22:12.

მე-2 ტაიმის დასაწყისი უკვე სრულად მასპინძლების იყო. მათ 15-წუთიანი მასირებული შეტევა მოაწყვეს და 46-ე წუთზე ხაზიც გაჭრეს – 29:12. დასკვნით მეოთხედში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შეძლეს ბურთზე კონტროლის დამყარება და შეტევაში ფაზების აკინძვა. ორჯერ კარგად გავჭერით ხაზი, ერთხელ ალექსანდრე ბურდულმა წამოიწყო თავისი ნახევრიდან კონტრშეტევა და დაახლოებით 60 მეტრი ირბინა, მაგრამ ტექნიკურმა წუნმა და მიმყოლების დაგვიანებამ ამ იერიშების გამოყენების საშუალება არ მოგვცა. ერთხელ ჩვენც გადავრჩით, როდესაც სრულიად უყურადღებოდ მიტოვებულ იტალიელ მორაგბეს ბურთი ჩვენი ჩათვლის მოედანში წინ გაუვარდა.

72-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა მაინც შემცირდა. მატის მოდებაძემ ბურთის აუტში გადატანის ნაცვლად სწრაფად გაათამაშა და ბადრი ციხისთავს გაატანა, შეტევა ხაზზე გაიშალა და იოანე მეტრეველს მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა, მაგრამ ერთი პასის შემდეგ იერიში აფციაურმა დაასრულა და მოდებაძის ზუსტი გარდასახვის შემდეგ დასკვნით წუთებში ბრძოლა გაგრძელდა. სტუმრებმა კიდევ ერთი შეტევა გაშალეს, მაგრამ 22-ში რაქიდან გამოვარდნილი ბურთი კონტრშეტევის შედეგად 7 ქულად იქცა – 19:36.

**ლადო კილასონია:**

– თამაში კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე სტრატეგიული ფეხით თამაში წავაგეთ და დიდი დრო ჩვენს ნახევარზე გავატარეთ. ასე დაიწყო მეორე ტაიმიც, რასაც ჯარიმებიც დაერთო და 14 წუთის მეტოქის ნახევარზეც ვერ გადავედით. იტალიას კარგი გუნდი ყავდა და შანსები გამოიყენა. მე-2 თამაში უელსთან გვაქვს, რომელიც ღონიერი გუნდია. ვფიქრობ, საინტერესო შეხვედრა გველოდება.

ჩვენს ჯგუფში უელსმა შოტლანდია 45:15 დაამარცხა. მე-2 ტურში სწორედ უელსს ვეთამაშებით. ა ჯგუფში სამხრეთ აფრიკამ ინგლისს 30:22 სძლია, საფრანგეთმა კი, ირლანდია 42:21 დაამარცხა.

# წყალბურთელთა ნაკრები ფლეი ოფში ხორვატიას შეხვდება



ბუდაპეშტში მიმდინარე წყალბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 2 მატჩი გამართა და ორივეში დამარცხდა. განსაკუთრებით სამწუხარო მე-2 ტურში ჩერნოგორიასთან (9:10) მატჩი გამოდგა, სადაც ჩვენები მცირე სენსაციასთან ახლოს იყო.

მეტოქე უპირობო ფავორიტად ითვლებოდა და პირველი მეოთხედის შემდეგ სოლიდურადაც იგებდა 4:1. მეორე მეოთხედში ყველაფერი საჩვენოდ იყო. საქართველოს ნაკრების მეკარე ნიკოლოზ შუბლაძემ ყველაფერი მოიგერია, მაგრამ შეტევაში ჩვენებმა იმდენადაც ვერ ივარგეს, რამდენადაც დაცვაში, მაგრამ ანგარიში მაინც გათანაბრდა – 4:4.

შესვენების შემდეგ ისევ ავურიეთ და კვლავ 3 ბურთით ჩამოვრჩით, მაგრამ ისევ მოვახერხეთ და ანგარიში გავათანაბრეთ – 8:8. ბოლო წუთებში მეტოქისთვის ქულის გამოგლეჯაც შეგვეძლო, ბოლო შეტევა ჩვენი იყო, მაგრამ მიზანს ვერც ამჯერად ვუწიეთ და...

დეიან სტენოიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა მე-3 ტურში უნგრეთთან 14:18 წააგო.

არადა, ჩვენებმა თამაში კარგად დაიწყე და პირველი მეოთხედი 3:1 დაწინაურდნენ. თუმცა, მასპინძლებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს, ხოლო ტაიმი 10:6 მოიგეს. სწორედ ეს მონაკვეთი გამოდგა გადამწყვეტი, რადგან დარჩენილი დრო გუნდებმა ისევ თანაბრად ითამაშეს.

შედეგად, საქართველოს ნაკრები ჯგუფში მე-3 ადგილზე გავიდა და ფლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. მეოთხედფინალში გასასვლელი ბრძოლა დეიან სტანოევიჩის გუნდს ხორვატიასთან ელის.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ნანა წულაია:** მქონდა ქალური პრობლემები, ასევე მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**ვახო წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**რეზო ნარმანია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**თამრიკო მხეიძე:** 79 წლისაა ჩემი მეუღლე, წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166.**
**მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# სამგლოვიარო განცხადებები



სამეგობრო – ფრიდონ ინჯია, ვახტანგ თოდუა, თემურ ბერიშვილი, თემურ ღოღობერიძე, დემურ ინჯია, თორნიკე აფაქიძე უსამძიმრებენ ბატონ ავთანდილ იაშვილს და გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას მეუღლის, ქალბატონი

**მარინა იაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ფრიდონ ინჯია ოჯახით უსამძიმრებს ბატონ ავთანდილ იაშვილს და გამოთქვამს დიდ მწუხარებას მეუღლის, ქალბატონი

**მარინა იაშვილის**

გარდაცვალების გამო.

შპს „ახალი ქსელების“, შპს „ფოპტნეტის“, შპს „ახტელის“ თანამშრომლები უსამძიმრებენ კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ ავთანდილ იაშვილს და გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას მეუღლის, ქალბატონი

**მარინა იაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. „დეკამერონის“ ავტორი; 6. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 9. მტრედის ბარტყი; 11. მხარე ბელგიაში; 15. ჯაშუშთა ქსელის ხელმძღვანელი უცხო ქვეყანაში; 16. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 17. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 19. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 21. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყნებში მეფის მცირეწლოვნების გამო; 22. ბრიტანული ყველი.

**თარაზულად:** 5. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. მონასტერი სამაჩაბლოში; 10. მგალობელი ჩიტი; 12. აეროპორტი სინგაპურში; 13. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 20. ფულის ერთეული კუვეიტში; 23. პოემა „გველისმჭამელის“ პერსონაჟი; 24. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 25. სამკურნალო საცხი; 26. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი იტალიელი კომპოზიტორი; 27. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული სავაჭრო ნიშანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მომა; 2. ტესლა; 3. ილორი; 4. შევრო; 5. რეკეტი; 6. ზედაზენი; 8. აბასთუმანი; 10. ვინჩესტერი; 11. სამშვილდე; 14. აფექტი; 15. ემბაზი; 16. ზუმხა.

**თარაზულად:** 1. მასტიფი; 4. შარტრეზი; 7. მარსი; 9. კიევო; 12. ჭილაძე; 13. იალტა; 14. ატლასი; 17. ემისია; 18. კლეპტომანია; 19. ვიმპელი; 20. საინსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სანჩესი; 2. წყალტუბო; 3. ასტრონომი; 4. წირქოლი; 5. მენდელსონი; 10. ქოჩარი; 11. კატმანდუ; 12. ყაზბეგი; 18. გორენიე; 16. ბარისტერი; 17. სალივანი; 19. აფხაზეთი; 21. იუანი; 23. მანტო.

**თარაზულად:** 6. სარწყუნისი; 7. ნიორაძე; 8. ბერეტა; 9. მორიკონე; 14. სომბრერო; 15. ყიზილბაში; 18. ბედია; 20. ტაპიორი; 22. მემფისი; 24. ლუგელა; 25. გენლაინი; 26. ოსტინი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.9360 |
| ევრო | — 3.0954 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.6122 |
| 100 რუსული რუბლი | — 5.4654 |

**ამინდის პროგნოზი 27 ივნისისათვის**




## ანჩელოტი: „რეალმა ყველა წარმატება დაიმსახურა"



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ სეზონი შეაფასა და თქვა, რომ რეალმა ყველა წარმატება დაიმსახურა. ანჩელოტის აზრით, გამართლება ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია:

— მინდა, ყველა ადამიანს, ვისაც ჩვენში ეჭვი ეპარება, ვუთხრა, რომ ფეხბურთში შემთხვევით არაფერი ხდება და ჩვენ ყველაფერი დავიმსახურეთ. რეალი ყოველთვის მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის.

## რაჰიმ სტერლინგი თითქმის ჩელსის ფეხბურთელია



რაჰიმ სტერლინგს მანჩესტერ სიტის დატოვება სურს და ის უკვე თითქმის ჩელსის ფეხბურთელია, თუმცა ჯერ მას ჩელსისთან ოფიციალური კონტრაქტი არ გაუფორმებია. სტერლინგმა უკვე რამდენიმე განცხადება გააკეთა თავის მომავალზე და მან ჩელსიზეც ისაუბრა. სტერლინგის თქმით, ჩელსი ძლიერი გუნდია, რომელსაც შეუძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა.

## ფრენკი დე იონგს ბარსელონას დატოვება არ სურს



ბარსელონას ჰოლანდიელ ნახევარმცველს ფრენკი დე იონგს გუნდის დატოვება არ სურს და ის მზად არის, რომ ხელფასის შემცირებაზეც დათანხმდეს, თუმცა, შესაძლოა ფრენკი მაინც გაუშვან, რადგან ხავის მის ადგილას ბერნარდო სილვას ყიდვა სურს.

თუ ეს ასე მოხდა, დე იონგი დიდი ალბათობით ინგლისს მიაშურებს, სადაც მისით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ნუმიზმატი მაია პატარიძე გაათავისუფლეს



საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატი მაია პატარიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს.

**ინფორმაცია ანანო ბაკურაძემ გაავრცელა:**

— ეროვნულ მუზეუმში 20-წლიანი მუშაობის შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა წერტილში უამრავი აწყობილი მუდმივი ექსპოზიციის შემდეგ, 5 წიგნის ავტორობისა და უამრავი პროფესიონალის გაზრდის შემდეგ ნუმიზმატიკაში, მაია გაათავისუფლეს მუზეუმიდან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— წუხელის სახლში რომ ვმღეროდი, ვიღაცამ ფანჯარა ქვით ჩამიმსხვრია, ეტყობა, უნდოდა, უფრო კარგად მოესმინა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— ბიჭო, ნაზიზე არ დაქორწინდი?

— არა, მიპასუხა, რომ ღარიბი ვარ.

— კი მაგრამ, მდიდარი უშვილო ბიძა რომ გყავს, არ უთხარი?

— ვუთხარი...

— მერე?

— მერე, ახლა ჩემი ბიცოლაა.

•••

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

— რა უნდა გავაკეთო ისეთი, რომ ცოლი ისტერიკამდე მივიყვანო?

— არც არაფერი...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ჩემმა ცოლმა უამრავი სოკო მოიტანა, დაამარილა, დააკონსერვა და ნათესავებს დაუგზავნა.

— მერე, რაო ნათესავებმა?

— სადღა გვყავს ნათესავები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თინათინ წულაძემ ქორეოგრაფიული სპექტაკლი დადგა



რეჟისორ ლევან წულაძისა და მსახიობ მანანა კოზაკოვას შვილმა, ანსამბლ „სუხიშვილების" მოცეკვავემ თინათინ წულაძემ ქორეოგრაფიული სპექტაკლი დადგა.

„მარკეტი" — ასე ჰქვია წარმოდგენას, რომლითაც „ქალაქის თეატრი" ანუ ახალი მულტიფუნქციური სივრცე 2 ივლისს გაიხსნება. თეატრს ახალგაზრდა ხელოვანები აშენებენ.

— თემა ჩვენი ლოკაციიდან გამომდინარე შევარჩიეთ. ბაზრის ტერიტორიასთან და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებთან სიახლოვემ გადაგვაწყვეტინა, ერთი შეხედვით რუტინული ცხოვრება უფრო გაგვეფერადებინა. ჩვენ, მოქალაქეები, ყოველდღიურად ვხვდებით ასეთ ადგილებში ჩვენთვის უცხო ადამიანებს და ერთხელ მაინც ყველას გვიფიქრია, სხვის თავში რა ხდება იმ დროს, როცა ადამიანი არჩევს სხვადასხვა პროდუქტს ან, უბრალოდ, რიგს ელოდება. რა პრობლემები აქვს, რატომ არის მოწყენილი ან ბედნიერი. რატომ ჩქარობს ან რატომ აკავებს ამდენი ხანი რიგს. მუსიკის და პლასტიკის დახმარებით შევეცდებით, ეს სამყარო ოდნავ სხვა თვალით დაგანახოთ.

ბილეთის შეძენა, ერთგვარი დონაციაა. მთელი თანხა მოხმარდება თეატრის განვითარებას, — ნათქვამია „ქალაქის თეატრის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## „სამეფო ნაციონალური ბალეტი" უნიკალურ წარმოდგენას გვთავაზობს




„სამეფო ნაციონალური ბალეტი" 10 ივლისს დიდ საკონცერტო დარბაზში უნიკალურ წარმოდგენას გვთავაზობს.

„სამეფო ნაციონალური ბალეტის" მოცეკვავეებთან ერთად დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, იცეკვებს ჰოლანდიის ბალეტის ქართველი მოცეკვავე გიორგი ფოცხიშვილი, როგორც მოწვეული სოლისტი.

„ქართული ცეცხლი" — ასეთია „სამეფო ნაციონალური ბალეტის" უნიკალური წარმოდგენის სახელწოდება. დასმა ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში 300-ზე მეტი კონცერტი სრული ანშლაგით ჩაატარა ევროპისა და აზიის თითქმის ყველა ქვეყანაში. ეს კონცერტი აღიარებული იქნა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ფენომენალური წარმოდგენა. წარმოდგენა „ქართული ცეცხლი" აგებულია ქართული ტრადიციული და თანამედროვე საცეკვაო ქორეოგრაფიულ დადგმებზე, რომელიც აერთიანებს მთელს საქართველოს, როგორც ერთი სრულფასოვანი საცეკვაო წარმოდგენა. მასში გამოყენებულია 370 უნიკალური საცეკვაო კოსტიუმი, უნიკალური დეკორაციები, მაყურებელი იმოგზაურებს მთელს საქართველოში და გაეცნობა ანსამბლის თვალით დანახულ და ცეკვებით გაცოცხლებულ საქართველოს ყველა კუთხეს.

„ქართული ცეცხლის" დამდგმელი ბალეტმეისტერები არიან გელა ფოცხიშვილი და მაია კიკნაძე, პროგრამის დირექტორი კი გელოდი ფოცხიშვილია. „სამეფო ნაციონალური ბალეტის" კონცერტზე დაწესებულია ასაკობრივი შეზღუდვა — 5+. ყველა ასაკის მაყურებელს ესაჭიროება ბილეთი.

## ონის სამუსიკო სკოლას ზურა ბაკურაძის სახელი მიენიჭა



ანსამბლ „ქართული ხმების" წევრის ზურა ბაკურაძის სახელი ონის სამუსიკო სკოლას მიენიჭა.

გადაწყვეტილება ონის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ მომღერლის გარდაცვალებიდან 1 წლისთავზე ერთობლივად მიიღეს.

— გასული წლის ივნისში, უბედური შემთხვევის შედეგად, 42 წლის ასაკში, ტრაგიკულად დაიღუპა ანსამბლ „ქართული ხმების" სოლისტი, ჩვენი კუთხის საამაყო შვილი -ზურა ბაკურაძე.

— ზურას თავისი გამორჩეული ნიჭისა და უნიკალური ხმის წყალობით, განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ვაჟთა ვოკალურ ანსამბლ „ქართული ხმების" შემოქმედებით მიღწევებში, რომლის უცვლელი წევრიც იყო გარდაცვალებამდე.

ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში მღეროდა ანსამბლ „ერისიონში", ანსამბლ „ლაშარში", დიდი წვლილი მიუძღვის ანსამბლ „ბასიანის" შექმნაში.

გარკვეული პერიოდი ზურა ბაკურაძე მღეროდა ანსამბლ „რუსთავში". მონაწილეობა მიიღო „ქართული ხმების სტუდიის" შექმნაში, რომელიც განსაკუთრებით შეიყვარა ქართველმა მსმენელმა.

ჰქონდა საკუთარი სტუდია „უნისონი" და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა თაობისთვის ქართული მრავალხმიანი მუსიკის ზიარების საქმეში.

ჩვენი კუთხის გამორჩეულმა შვილმა, მისი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, მოასწრო შეეყვარებინა თავი ონელი მაყურებლისთვის, რომელსაც მხოლოდ გამორჩეული ხელოვანების აღიარება შეუძლია. მან ეს აღიარება წარმატებით შეძლო, რადგანაც ის ერთნაირად მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებდა ყველა კუთხის უძველეს და ურთულეს ხალხურ და ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს.

გამორჩეულია მისი ღვაწლი „ქართული ხმების ტრიოს" ავტორიტეტის შექმნასა და მისი საქვეყნო სიყვარულის აღიარების საქმეში. ის ქალაქურ ცხოვრებასთან ერთად, შესაშური მონდომებით ახერხებდა თავისი კუთხის ადამიანებთან მჭიდრო და აქტიურ თანაცხოვრებას, სწორედ ამან მოუტანა მას თავისი მშობლიური კუთხის მიერ ასეთი უკიდეგანო აღიარება და უსაზღვრო სიყვარული.

ზურა ბაკურაძის მიერ უკვე მოპოვებული პიროვნული ღირსებები, შინაარსიანი და გამორჩეული ცხოვრება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა თაობისთვის მისაბაძი მაგალითი გახდა, თუ როგორ უნდა ემსახურონ ხალხს, ქვეყნის ინტერესებს, ტრადიციებს და ღირებულებებს, თითოეული ახალგაზრდა ცდილობს იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები, როგორც ეს ზურა ბაკურაძემ მოახერხა შინაარსიანი და მიზანდასახული ცხოვრებით.

სწორედ ამიტომ, ონის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, საამაყო მამულიშვილის და საზოგადო მოღვაწის სახელის უკვდავსაყოფად, ააიპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას ზურაბ ბაკურაძის სახელი მიენიჭა.

მშობლიურ კუთხეს და ქართველ ერს მუდამ ემახსოვრება გამორჩეულად ნიჭიერი, თბილი, გულიანი რაჭველი მომღერალი, საიმედო მეგობარი და კარგი ვაჟკაცი — ზურა ბაკურაძე, — ნათქვამია ონის მუნიციპალმიტეტის მერიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



**27 ივნისისათვის**

**ვერძი** — მოულოდნელი ცვლილებების დღეა. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობას. სიზმარი აგიხდებათ. **კურო** — მოთმინებით აღიჭურვეთ. ერიდეთ კამათსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** — მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. ნუ იქნებით სუბიექტური. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** — კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლისათვის. ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. **ლომი** — ბედი მორიგ გამოცდას გიწყობთ. რადიკალური ქმედებებისაგან თავი შეიკავეთ. ეს მეტწილად პირად ცხოვრებას ეხება. **ქალწული** — პირად ცხოვრებაში სირთულეები იჩენს თავს. გარეშე პირებს თქვენს საქმეში ნუ ჩარევთ. **სასწორი** — იდეალური დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. წარმატება გარანტირებულია. **ღრიანკალი** — მშვიდად იყავით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ნუ დაძაბავთ. **მშვილდოსანი** — ახალი საქმის დაწყება არ ღირს. ხელმძღვანელობასთან დიპლომატიურობა გამოიჩინეთ. **თხის რქა** — ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა დიდია. ყურადღება მიაქციეთ კვების რეჟიმს. **მერწყული** — იზრუნეთ საკუთარ თავზე. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **თევზები** —შეიცვალეთ გარემო. გადაიხალისეთ გარდერობი. ახალი საქმის დასაწყებად საკმაოდ კარგი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 2. ქართველი ნიჩბოსანი მამაკაცი, ევროპის ჩემპიონი; 3. ფართო ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 5. ტყვედ წაყვანილი ქართველებისგან დაკომპლექტებული პრივილეგირებული ჯარი ოსმალეთში; 7. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. მინაზე ან გამჭვირვალე ქსოვილზე ორივე მხრიდან შესრულებული ნახატი; 15. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 16. კუთხე საქართველოში; 18. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 4. საბილიარდოს მომსახურე პირი; 6. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 8. დანიის დედაქალაქი; 10. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 11. პოლონეთის პრეზიდენტი; 12. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი; 14. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 17. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პოპულარული პარკი ბარსელონაში; 19. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 20. დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 21. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. სამძებრო პოლიციის თანამშრომელი; 23. სიცილიური სადესერტო ღვინო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

